# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №60 (1570) ხუთშაბათი, 19 ივნისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორმე შოთას* თუ გადავურჩი, როგორმე შოთამ თუ მიგვატოვა...

## ნოდარ გრიგალაშვილი

**გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №59**

მკითხველო, ჩემი გუშინდელი საუბარი თქვენთან, უფრო სწორედ პარლამენტის საგამოძიებო კომისია-ში, თუ გახსოვთ, ასე დასრულდა.

კომისიის წევრებს განვუცხადე, სუკისგან გაშიფრული, ჩემი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ახლავე გად-მომეცით–მეთქი.

აჰ, არაო, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. მაგის მოცემის უფლება არა გვაქვსო.

ჩუმ-ჩუმად რომ მისმენთ, იმის უფლება თუ გაქვთ–მეთქი.

ჩვენ რა შუაში ვართო, – გაუკვირდათ.

თქვენ არ თქვით, 5 წლის შემდეგ ქვა რომ არ იდოს თავის ადგილზე, იმაზეც ჩვენ ვართ პასუხისმგებელნიო? – არ ვცხრები მე.

ეგ რა შუაშიაო.

რა და, კვირაია არ ყოფილა თავის ადგილზე–მეთქი.

მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, არ უკითხავთ რატომო...

თუ ხვალ კვირაიას გადავურჩი და მამაზეციერთან არ გამტანა წერილი, იმ დოკუმენტს მაინც მოვიპოვებ, გამოვაქვეყნებ და მერმე, ჩემო მკითხველო, აღარც თქვენ იკითხავთ, რატომო.

აი, ეს დანაპირები რომ შემესრულებინა, გასული ერთი დღის მანძილზე ერთი წუთით არ ჩამიმუხლია.

უპირველესად ხსენებული დოკუმენტი უნდა მომეპოვებინა და გამეცნო თქვენთვის, მაგრამ ვიდრე წერილს რედაქციამდე მოვიტანდი, პარალელურად იმაზედაც უნდა მეზრუნა, თავი დამეზღვია მამაზეციერთან წერილის წაღებისაგან.

ამან ისეთ კომიკურ სიტუაციაში ჩამაგდო, ღირს ორიოდე სიტყვით შევაჩერო თქვენი ყურადღება.

### თვითირონია

რაკი ბატონი კვირაია ამ დღეებში გაზეთებმა სულ მცირე 6 კაცის მკვლელად გამოაცხადეს, ბუნებრივია, ვიზრუნე იმაზე, რომ მეშვიდე მე არ აღმოვჩენილიყავი. ამიტომ, სააგენტოს კორესპონდენტს განვუცხადე, ასეა და ასე ჩემი საქმე–მეთქი. ატყდა და რა ატყდა. საქართველოს კი არა, მგონი მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალებამ გადმოსცა, რედაქტორის სატელეფონო საუბრებს სუკი ისმენდაო. ერთ დღეში პირდაპირ ცნობილი კაცი გავხდი. დავდიოდი და ჩემს თავზე მეცინებოდა.

ეს ოხერი, მიწვალია, მიშრომია, წიგნები დამიწერია არა ერთი და ორი, პედაგოგი ვიყავი სკოლაში, უნივერსიტეტში. რაც ამდენხანს სერიოზული საქმე მიკეთებია, კაციშვილს არ გავხსენებივარ. ეტყობა, ცნობილი კაცი რომ გახდე, მაინცდამაინც ეტლი უნდა დაგეჯახოს–მეთქი, მეცინებოდა საკუთარ თავზე.

ეტლი კი ჩეხოვის ერთ გმირს დაეჯახა.

თავისი გვარი გაზეთში იხილა და მთელი პეტერბურგი შეჰყარა, ნახეთ ჩემი გვარი გაზეთში წერიაო. გაზეთში კი ეწერა, მოქალაქე N-ს გუშინ ეტლი დაეჯახა და დაამტვრიაო. გახარებული მოქალაქე მთელს ქალაქში გაზეთს დააფრიალებდა, ნახეთ ის კაცი მე ვარ, ეტლი რომ დამეჯახაო. ასე სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ამ ჩემი უშიშროების სამინისტროს გადამკიდე. მთელმა საქართველომ გამიცნო, ეს ის კაცია, სუკი რომ უსმენდაო, ვაი ჩემი ბრალი...

მაგრამ რა მექნა, საჯაროობით სიცოცხლე დავიზღვიე და ახლა მეორე პირობაც უნდა შევასრულო.

მკითხველს ჩემსავით უნდა ვაფიქრებინო, კვირაია თავის ადგილზე რომ არ ზის.

ვითარ შევატყვე, ამაში ეჭვი არც საგამოძიებო კომისიას ეპარება, მაგრამ ჩემთვის მკითხველია მთავარი, მორალური მხარდაჭერაა მთავარი, თორემ ჩემი და ჩემი მკითხველის გადასაწყვეტი არც მისი დანიშვნა ყოფილა და არც მისი მოხსნაა...

მაშ ასე, გთავაზობთ იმ ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელზეც ჩემი ყოვლად უმნიშვნელო სატელეფონო საუბარი ასე გულმოდგინედ დაუფიქსირებიათ ჩემს უშიშროებაზე მზრუნველ მეთვალყურეებს. თუმცა ერთი გადახვევა კიდევ მმართებს.

### რომ არა ირინა სარიშვილი-ჭანტურია

რომ არა ქალბატონი ირინა, მკითხველის წინაშე დოკუმენტით ვერ წარვსდგებოდი. საგამოძიებო კომისიამ, ძიების ინტერესიდან გამომდინარე, ჩემი აჯა არ ისმინა და გაშიფრული ტექსტის გადმოცემაზე ძიების დამთავრებამდე კატეგორიული უარი მითხრა. რაღას ვიზამდი, ეს პატიოსანი ხალხი კანონის ენით მელაპარაკებოდა.

დავკარი ფეხი და ახლა ქალბატონ ირინას ვეახელი.

ირინა სარიშვილს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისადან“ სოფიო გაცოცხლებულა.

რა თქმა უნდა, ვიზიტი შედეგიანად დასრულდა.

ახლა კი ამ დოკუმენტს გაეცანით.




ბ.შენგელია
ბატონ ა.იოსელიანს

საიდუმლოდ
ობიექტი C-8

რეგ. №___ რიგ. №4985
თარიღი 8 ივლისი 96
ფურცლების რაოდენობა 5
15.10 სთ.

ს/ო-ში დარეკა ნოდარ ნათაძემ, ესაუბრა ნოდარს.

ნ – ბ-ნო?

ნნ – ნოდარი ხარ?

ნ – დიახ, ბ-ნო ნოდარ!

ნნ – ნოდარ, მოდი რა აქეთ, მაჩაბელზე, 5 საათზე დაახლოებით.

ნ – ბ-ნო ნოდარ, საგადასახადოს ხალხია და ჯერ ვერ შემოვალ, რა.

ნნ – ნოდარ, არავითარი უფლება არა აქვთ იმათ, რომ შენ შეგიმოწმონ გადასახადი, ეს იცოდე შენ, მე გავიკითხე.

ნ – ბ-ნო ნოდარ, მე თვითონ მაწყობს რა, რომ შემიმოწმონ, იმიტომ, რომ დალაგდეს ეს საბუთები, უფლება როგორ არა აქვთ, უფლება რა, ჩემი

2

* შოთა – იგივე შოთა კვირაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორმე შოთას თუ გადავურჩი, როგორმე შოთამ თუ მიგვატოვა...

პირველი გვერდიდან

თუ არა აქვთ, პარტიის შემოწმების უფლება ხომ აქვთ?

ნნ – არა, არა.

ნ – ბრძანებითაა, ბ-ნო ნოდარ, ჩვენ კი არ გვამოწმებენ მხოლოდ. ჩემი თუ არა, პარტიის შემოწმების უფლება ხომ აქვთ?

ნნ – ბრძანებითაა?

ნ – ბრძანებითაა, ყველა რედაქციაში შევიდნენ და.

ნნ – პანლური უნდათ მაგათ და მეტი არაფერი. დაიცადონ ცოტა ხანს და მოვალ მეცა.

ნ – ბ-ნო ნოდარ! ძალიან კარგია, რომ შეგვამოწმებენ და დამიჯერეთ, დალაგდება საბუთი, ისა, ესა. ის ბუღალტერი სამი თვეა ვერ მოვიყვანე. ვინ მოათრია.

ნნ – დააცდევინე და მეც მოვალ.

ნ – აქ არიან ისედაც, თქვენ რომელ საათზე მოხვალთ?

ნნ – სხდომაა აბა, მაჩაბელზე.

ნ – კი ბ-ნო.

შემოწმება, რომელზედაც ამ ტექსტშია საუბარი, განზრახული იყო გაზეთ „საქართველოს“ დახურვის მიზნით და ეს დავალება მოდიოდა უშიშროების სამინისტროსაგან. მე, როგორც ხედავთ, მხოლოდ დოკუმენტებით მიყვარს საუბარი და თუ საჭირო გახდა, ამის დოკუმენტსაც შევთავაზებ მკითხველს, მაგრამ ამჯერად ტექსტზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

ნახეთ, ბატონებო, რა თავგამოდებით ვცდილობ დავასაბუთო ის გარემოება, რომ შემოწმებაში პატიოსანი კაცისათვის ცუდი არაფერია, მიუხედავად იმისა, რომ იმჟამად არცერთი პარტიული (ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ) გაზეთი არ შეუმოწმებიათ და, რაც მთავარია, არავის შეუმოწმებია კვირაიას გაზეთები, რომელნიც ვითომ თავისუფალნი, ამ დღეებშიც გამოამჟღავნებენ იმას, თუ ვის დაკრულზე ცეკვავენ და თუ ასე მოხდა, პირობას ვაძლევ ყოველი მათგანის რედაქტორს, ისეთ დღეში ჩავაგდებ, გაიძახოდნენ, არ გაგვჩენოდით კვირაიასო.

## ს/ო

გუშინდელ წერილში შეგპირდით, ამ გასაიდუმლოებული შიფრის ახსნას. თუ რას ნიშნავს ს/ო მოგვიანებით შემოგთავაზებთ-მეთქი. რაც მე მაგის გახსნაზე ტვინი ვიჭყლიტე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, თუმცა სუკის თანამშრომელს რა გამოლევს საქართველოში, მეც მივადექი ერთ მათგანს, კაგებედან 10 წლის წინათ გამოგდებულს ანტისოციალისტური საქმიანობისათვის, ახლა ღმერთისა და კაცისაგან მივიწყებულს.

გაიხარა, თვალები გაუფართოვდა. ჩემი თავი კიდევ ვიღაცას დასჭირვებიაო და პროფესიული სიამაყით მითრა, ს/ო სადაზვერვო ობიექტს ნიშნავსო.

ასე რომ, მე თქვენი მონა-მორჩილი, კვირაიას უწყების სადაზვერვო ობიექტი, ახლა მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

## ბატონო პრეზიდენტო!

ბოდიშს გწირავთ ხუმრობაგაშვებით მომართვისათვის, მაგრამ პირდაპირ მისტიური დამთხვევა მოხდა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის ადმინისტრაცია სასტუმრო „უოტერ გეიტში“ ისმენდა ოპოზიციის საუბრებს. ეს ამბავი ცნობილი გახდა 1972 წლის *12 ივნისს*, რის გამოც პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა.

კვირაიას უწყება ისმენდა სატელეფონო საუბრებს, ეს ამბავი ცნობილი გახდა 1997 წლის *12 ივნისს* ირინა სარიშვილი-ჭანტურიას პარლამენტში გამოსვლის შემდეგ.

თუ თქვენ მიბაძავთ ნიქსონის მაგალითს, პრეზიდენტის ცარიელ სავარძელს ყველაზე საშიში სამინისტროს ყველაზე საშიში მინისტრი შეავსებს, ხოლო მე იმ ქვეყანაში გამგზავნის, საიდანაც უკან არავინ მობრუნებულა...

ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ თქვენ ადგილზე ბრძანდებოდეთ, მე კვირაიას ადგილზე დამსვით, კვირაია ჩემს ადგილზე. ამით კი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემა გადაწყდება. კვირაიამ წერა არ იცის და ბასრ გაზეთს ვერ გამოსცემს, მე კი უშიშროების სამინისტროს მართვა არ შემიძლია და ძალიანაც რომ ვეცადო, უშიშროების სამინისტრო საშიში ველარ იქნება. არადა, რა საჭიროა ის სამინისტრო, რომელიც ან თქვენი ტერაქტითაა დაკავებული, ან თქვენი ქვეშევრდომების ბაასის მოსმენით.

არძინბა კი ზის ქანდარაზე და ხითხითებს...

***P.S.*** *ვიცი, მკითხველს ერთი კითხვა გაუჩნდება, რა შუაშია ბატონი შოთა კვირაია, იქნებ რედაქტორს ისე უსმენდნენ, მინისტრი არც კი იყო საქმის კურსში.*

*ამაზე ხვალის ნომერში გესაუბრებით ძვირფასო მკითხველნო და თუ ჩემი საუბარი ლოგიკურად მოგეჩვენებათ, საბოლოოდ უნდა დამიდასტუროთ, რომ უშიშროების მინისტრი თავის ადგილზე არ ზის.*

*უკანასკნელ საათს*

## მიშველეთ! — ყვირის მოქალაქე

***P.S.S.*** *წუხელ ქვიშის საათში გადმოიცა ინფორმაცია, რომ უშიშროების სამინისტროს კოლეგიას უმსჯელია და მიუმართავს გენერალური პროკურორისათვის თხოვნით, განიხილონ ჩემს პუბლიკაციაში წამოყენებული ბრალდებები, მისცენ მას შეფასება და გადაწყვიტონ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობის საკითხი ჩემს მიმართ.*

*მაშ ასე, სამინისტრომ შელახა ჩემი მოქალაქეობრივი უფლებები, ხოლო თავდაცვის მიზნით, საქმის აღძვრას ისევ ჩემს მიმართ ითხოვს. ეს ამბავი ერთ სიუჟეტს მაგონებს.*

*დავით კლდიაშვილის მამას, სამსონ კლდიაშვილს ერთი ჩინოვნიკი ფეხქვეშ გაუგდია და უცემია. დაზარალებულის ყვირილზე პოლიცია გამოიქცა, სამსონმა დაინახა რა პოლიციელები, წაიქცა ძირს, შემოიგდო ზემოდან მისი მსხვერპლი და მორთო ყვირილი, მიშველეთო...*

**დასასრული ხვალინდელ ნომერში**


ბატონ
ბატონ
საიდუმლოდ
ობიექტი C-8
რეგ. № ... რიგ. № 4985
თარიღი
ფურცლების რაოდენობა 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმერეთის რეგიონში სტიქიას ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა

ბაღდათის რაიონში კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდდა მდინარეები კორისწყალი და ხარისწყალი. ადიდებულმა მდინარემ იმსხვერპლა სოფელ წითელხევის მკვიდრი ზურაბ გუმბერიძე. დაიტბორა აგრეთვე ერთი ჰექტარი საევარგული, წყალმა წაიღო სამი პატარა ხიდი, ორი ძლიერაა დაზიანებული. წინასწარი მონაცემებით ზარალი ერთ მილიონ ლარს შეადგენს. კონცერნ „საქავტოგზის" დასავლეთის ზონის უფროსის ალეკო ბაძალუას განცხადებით წყალდიდობის ძირითადი მიზეზი ხეტყის გაჩეხვაა. (მექსპრესი)

## ჭუბურხინჯში აფეთქებულ მოწყობილობას მსხვერპლი არ მოჰყოლია

გუშინ, დილით, 6 საათსა და 50 წუთზე გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში საგზაო პოლიციის საგუშაგოდან ას მეტრში აფეთქდა ხეზე დამონტაჟებული მოწყობილობა. როგორც ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ითქვა, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

შეხვედრაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების 310-ე საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში შეამჩნიეს 8 შეიარაღებული პირი. ოპერატიული ჯგუფის ადგილზე გასვლისას შეიარაღებულები იქ არ აღმოჩნდნენ. იქვე მდინარე ენგურმა უცნობი ქალის გვამი გამორიყა. მიმდინარეობს ამოცნობა. (მექსპრესი)

## ქართველი ნაციონალისტები ხელისუფლებას კონსტრუქციულ თანამშრომლობას სთავაზობენ

ქართველ ნაციონალისტთა პარტიის ლიდერს გია მამალაძეს მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მიეცეს პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს. საჭიროა პოლიტპატიმრების განთავისუფლება, საქართველოს ტელევიზიაში პოლიტიკური პარტიებისათვის უნდა გამოიყოს საეთერო დრო. მათი აზრით, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს ოპოზიციის დაახლოებას მთავრობასთან, რაც შექმნის პირობებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. მამალაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან მათ მოთხოვნებს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მისივე თქმით, დამოუკიდებელი ტელეკომპანიებისაგან განსხვავებით საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო საშუალებები ყურადღების ღირსად არ სთვლიან ამ მოთხოვნებს. (პრემიერი)

## სახელმწიფოს ვალი დაუგროვდა

სახელმწიფოს ვალი კერძო სტრუქტურების მიმართ 4,5 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროდუქცია გადაზიდეს თურქმენეთში მოწოდებული ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ. იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ფინანსთა სამინისტროს საგარანტიო წერილები გააჩნიათ თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის ღირებულების ბიუჯეტიდან ანაზღაურების თაობაზე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ წარუდგინა სააქციო საზოგადოებების სია, რომელთა აქციები შეთავაზებული იქნება სახელმწიფო ვალის ანგარიშში, რომელიც 1 აგვისტომდე უნდა იქნას დაფარული. (ბი ჯი აი)

## ელენე თევდორაძე:

# მერე რა, რომ მე შევარდნაძის გუნდიდან ვარ, მე ჩემი სიმართლე მაქვს

*– თქვენი ინიციატივით იცავთ პატიმრებს, თუ პარლამენტში სხვაგვარი პრაქტიკაა?*

– ჩემი ინიციატივით მე მხოლოდ მსჯავრდებულებთან შევდივარ. გამოძიების დროს კი მე განცხადებას ვღებულობ ან ოჯახის წევრისაგან, ან პატიმრისაგან, ან მისი ადვოკატისაგან. მათგან შემოსული წერილი რეგისტრაციას პარლამენტში გადის და მის საფუძველზე ვიწყებ მოქმედებას. ბატატუნაშვილთან ორჯერ ვიყავი, რადგან ჯერ პირველი ადვოკატის მომართვის შედეგად ვნახე, შემდეგ კი მეორე ადვოკატი აიყვანეს და იმანაც მომმართა. ეს თხოვნა-წერილები ჩემგან პროკურატურაში იგზავნება და მის საფუძველზე მეძლევა უფლება დაკავებულები ვნახო. ბატონი შალვა ქარჩაიძეს იცავდა და მე მასთან სამჯერ ვიყავი, რადგან ჯერ შიმშილობა გამოაცხადა, ხოლო შემდეგ თვითონ ბატონმა შალვამ მომმართა. ასეა ყოველთვის და არა აქვს მნიშვნელობა ვინაა დაპატიმრებული. ჩემთვის მის განცხადებაში ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო, რომ თურმე მე ის პიროვნება ვარ, ვიზედაც შეიძლება ზეწოლა მოახდინო. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მე ისეთი პიროვნება ვარ, ვინც ვერავითარ ზეწოლას ვერ აიტანს, ხასიათი მაქვს ასეთი. პირიქით, როდესაც ასეთ რამეს ვგრძნობ, უფრო მეტ წინააღმდეგობას ვუწევ.

*– დიახ, მახსოვს თქვენი განცხადებები საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობის შესახებ.*

– დიახ, იმ წუთშივე იყო პრეზიდენტის უარყოფა ამ საკითხში, მაგრამ ჩემი პოზიცია უცვლელია. ვიცი, რომ ეს ვიღაცას არ მოსწონს ან მოსწონს. მერე რა, რომ მე შევარდნაძის გუნდიდან ვარ, მე ჩემი სიმართლე მაქვს და მას ყველგან დავიცავ.

*– რატომ ამოტივტივდა ბარამიძისა და მაჭავარიანის სახელები?*

– სულ უბრალო მიზეზით, გაზეთში დაიბეჭდა სხვადასხვა პირების მიერ ჩემი დასაცავი ინტერვიუები. უფრო სწორად, ჩემი პიროვნების შეფასება იყო, მაგრამ სურათები იყო დაბეჭდილი მხოლოდ ბარამიძის და მაჭავარიანისა. ეს გახდა საფუძველი, რომ მათ წინააღმდეგ აგორებულიყო ეს კამპანია.

*– მეტრეველზე რას იტყვით?*

– სხვათაშორის, იმ სტატიის ამბავი პროკურორმა შემატყობინა. შეიძლება სირცხვილია, მაგრამ მე ჩვენს პარტიულ გაზეთს არ ვკითხულობდი, დროც არ მაქვს ამდენი. თუ ვკითხულობ, ისევ თავისუფალ პრესას, სადაც კრიტიკაც წერია და საზოგადოების განსხვავებული პოზიციაც ჩანს. რაც შეეხება მეტრეველს, როდესაც ის ჩემზე წერს, ნებისყოფა არ ეყოო და შემდეგ კარგ წერილს რომ აქვეყნებს ჩემზე, მერე მიდის და სხვა გაზეთში ერთ ამბავს ტეხს, მან ამით თვითონ გაშიფრა თავის თავი ე.ი. მასზე შესაძლებელი ყოფილა ზეწოლა. ვთვლი, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ვაჟკაცობა, მოქალაქეობრიობა ან სულ გაჩერდეს, ან დაიცვას თავისი პოზიცია ბოლომდე.

*– ახლა „ელიზის" პრეზიდენტი გაათავისუფლეს. თქვენ ჩაერიეთ ამ საქმეში?*

– არა. მე მეგონა იგი გაათავისუფლეს ახალი კანონის მიხედვით, სადაც დაკავებულის გამოყვანა გირაოთია შესაძლებელი, მაგრამ იგი თურმე ავადმყოფობის გამო გაუშვიათ. ელიზბარაშვილთან მე ვიყავი მისი დაკავების შემდეგ, რადგან ადვოკატმა მომმართა, ცუდად არისო. მაშინ მას მხოლოდ იარაღის ტარების ბრალდებას უყენებდნენ. ჩემი შეხვედრის შემდეგ მას ყაჩაღობის ბრალდებაც წაუყენეს. შემდეგ იგი ვნახე ციხის საავადმყოფოში, სადაც სხვა პატიმრების სანახავად ვიყავი. ადრეც და მაშინაც იგი მართლაც ცუდად იყო. სახეზე ეტყობოდა, ჩავარდნილი თვალები და გადათეთრებული სახე ჰქონდა. ციხის ექიმმა მითხრა, რომ წინადღეს ჰქონია ეპილეფსიის შეტევა.

*– სხვა პატიმრებიც უამრავია ავადმყოფი, მათი გამოშვება შესაძლებელია? ან გირაოთი მართლა ხდება პატიმრის გამოყვანა?*

– რა თქმა უნდა, ჩვენ ეს კანონი მივიღეთ, გირაოს კანონი ძალაშია 1 მაისიდან. მაგრამ მე უამრავი პატიმარი გამოვიყვანე თავდებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

*– კონკრეტულად თუ გახსოვთ ვინ?*

– ყველას ალბათ ვერ გავიხსენებ. ეს იყო პატარაია, ქალთა იზოლატორიდან. იქ იმშობიარა პატარა თემური და ერთ კვირაში გამოვიყვანე თავდებით. ასევე არასრულწლოვანი ხუცურაული, მას ძიებაში სეფსისი დაემართა. ლულუნიშვილსაც, დიაბეტით იყო ავად და მასაც სეფსისი დაემართა. ცხონებული სუდაძე გამოვიყვანე, მაგრამ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა, თუმცა თავისუფალი მაინც იყო. ასევე ვაჟა ლოლაძე, რომელიც დღეს დამარხ-



ეს, მაგრამ მან სამი თვე მაინც იცოცხლა თავისუფლებაში. მისი „აქტიროვკა" ძალიან ძნელი იყო, რადგან „ზვიადისტი" იყო და ჩიჭოვანის ქუჩის აფეთქებაში და ყვარლის ტყის ამბებში ედებოდა ბრალი.

*– „აქტიროვკა" დიდი ფული ღირს, ასე ამბობენ.*

– დიახ, პატიმრები ფანტასტიურ თანხას ასახელებენ, წელიწადი 3000 ლარი თუ დოლარი. ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც მოვახერხე მათი გამოყვანა. ჩემთან ხომ იცით, ფულიანი არ მოდის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ფულიანები სხვა გზას პოულობენ თავის დასახსნელად. დღესაც არის საავადმყოფოში მერაბ ხიდაშელი, თელავის ყოფილი გამგებელი, რომელიც ბავშვობიდან ინვალიდია და თუ ხელით არ ატარე, ვერ დადის. მას აქვს ასევე საშინელი ასთმა. დავაყენე პროკურატურაში მისი საკითხი, თორემ ასე თუ გაგრძელდა, მას სუდაძის ბედი ელის. ამ დღეებში მეტყვიან პასუხს. იმედი მაქვს, დადებითად გადაწყდეს.

*– წარმატებას გისურვებთ.*

– გმადლობთ.

**მანანა იაშვილი**

# ხელისუფლებას რუსეთი საქართველოში შემოყავს

*18 ივნისს, სასტუმრო „ივერიის" დარბაზში გაიმართა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების პრესკონფერენცია, რომელიც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ მსჯელობასა და კავკასიის პარლამენტის დაარსების პრობლემებს მიეძღვნა. „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტი კობა ბენდელიანი იუწყება:*

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" დეპუტატ ბორის კაკუბავას თქმით, ის რაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად ხელისუფლების მხრიდან თითქოს კეთდება, „სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული ინტერესების ღალატი". მისი თქმით, იგი საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად 20 ივნისს მახაჩკალაში მიემგზავრება, სადაც უნდა გადაწყდეს კავკასიის პარლამენტის ყრილობის ჩატარების ადგილი და დრო. დეპუტატმა ბ.კაკუბავამ დამსწრეთ განუმარტა, რომ კავკასიური საპარლამენტო ასამბლეა რადიკალურად განწყობილი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა პარლამენტი იქნება, რომლის მიზანია ურუსეთო კავკასია.

აფხაზეთის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 მაისის დადგენილების თაობაზე საკოორდინაციო საბჭოს განცხადება დამსწრეთ გააცნო ამავე საბჭოს წევრმა მურმან ზაქარაიამ. განცხადებაში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ დადგენილებაში მთლიანად იგნორირებულია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს მიერ განხორციელებულ აქციებში დევნილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მთავარი მოთხოვნა: „ე.წ. სამშვიდობო ძალებმა და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უპირობოდ დატოვონ ოკუპირებული ტერიტორია". აფხაზეთის საკითხებზე პარლამენტის 30 მაისის დადგენილებას საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევს დევნილი მოსახლეობის აბუჩად აგდებად, „მშვიდობიანი გენოციდის გაგრძელებად და ფარსად". განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ თუ ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის დასაბრუნებლად პირველ აგვისტომდე ადგილი არ ექნება რეალურ ქმედებებს, ისინი იძულებულნი იქნებიან განაახლონ აქციები უკვე ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ი.სარიშვილი-ჭანტურიას ბრალდება იმის შესახებ, რომ დეპუტატთა შიმშილობის აქცია უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელის შოთა კვირაიას მიერ იყო ინსპირირებული.

დეპუტატმა გ.ფაცაციამ, ისევე როგორც ბ.კაკუბავამ და თ.ფიფიამ, უარყვეს ი.სარიშვილი-ჭანტურიას ბრალდება. გ.ფაცაციას აზრით, გაცილებით იოლია აგენტის ტიტული მიაკერო ვინმეს, ვიდრე მივიღოთ კანონი ლუსტრაციის შესახებ, რომელიც საშუალებას მოგვცემდა საბოლოოდ გაგვერკვია, ვინ ვინ არის. მისი თქმით, ფრაქციას კვირაიას დასაცავად განცხადება არ გაუკეთებია. ბ.კაკუბავამ არ გამორიცხა შიმშილობის აქციის მონაწილეთა, ფრაქციის ზოგიერთი წევრის კავშირი უშიშროების სამსახურთან და დასძინა, რომ მოშიმშილე დეპუტატებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდა. ხელისუფლებაც მათი საშუალებით შეეცადა აქციის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. პრეს-კონფერენციის დასასრულს, მონაწილეებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ისინი ურუსეთო კავკასიისთვის იღვწიან, და სწორედ ამისათვის სურთ კავკასიის პარლამენტის შექმნა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ამ პროცესში რუსეთის მონაწილეობის მომხრეა. „ჩვენ კავკასიიდან რუსეთის განდევნისათვის ვიღვწით, ხელისუფლებას კი რუსეთი საქართველოში შემოყავს" – დასძენს დეპუტატი ბ.კაკუბავა.

ჟურნალისტთა მხრიდან დასმულ კითხვას, თუ რამდენად შეიძლება ვენდოთ ჩრდილოეთ კავკასიელთა წარმომადგენლებს, მათ შორის ჩეჩნებს, შამილ ბასაევსა და სხვებს, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით აფხაზეთში ჩვენს დამარცხებაში, თორნიკე ფიფიამ უპასუხა: „ბასაევი გააკეთებს იმას, რასაც ჩვენ ვეტყვით", დეპუტატი გ.ფაცაცია კი თვლის, რომ „ბასაევი ჩვენს წინააღმდეგ იარაღს არ აიღებს".

• დღიური

# რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე



**2/VI — 18/VI, 93 წ.**

დღეს 18 ივნისია.

12 საათზე სიტყვა ვთქვი ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ კონფერენციაზე.

3 საათიდან ტელევიზორთან ვზივარ, პარლამენტის სესიაზე შევარდნაძის გადადგომის საკითხი დგას.

ირაკლი წერეთელი და ნოდარ ნათაძე აყენებენ შევარდნაძის გადაყენების საკითხს.

ზოგი მომხრეა, ზოგს შევარდნაძე კვლავ „ბრძენ", „შეუცვლელ" კაცად მიაჩნია.

ბოლოს მაინც ვერ შეთანხმდნენ.

შევარდნაძე „ცეცხლოვან" სიტყვას ამბობს. დაპირებების კორიანტელს აყენებს.

16 ივნისს აკაკი წერეთლის პრემიის პირველი ლაურეატი გავხდი.

არ ველოდი, სიმართლე გითხრათ.

მეწყინა, რომ შ.ნიშნიანიძე „გააშავეს". ცხრა კანდიდატიდან ყველაზე მეტად შოთას ეკუთვნოდა ეს პრემია.

17 ივნისს უნივერსიტეტში შევხვდრა მოვუწყვე ომის მონაწილე ქართველ მწერლებს: ნანა კანდელაკს, აკაკი გეწაძეს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ვახტანგ გორგანელს, ლადო სულაბერიძეს, ვასო გვეტაძეს.

ამ დროს ზოგი ჩემი კოლეგა რადიო-გაზეთ-ტელევიზიიდან შევარდნაძეს ეხვეწა: გამკაცრდი, ნუ ხარ ასეთი გულჩვილი, დასაჯე ოპოზიციონერებიო.

**18/VI — 14/VII, 93 წ.**

ომით, ტკივილით, მტანჯველი მოლოდინით გავიდა ეს თვე (ცხრამეტი ივნისიდან - 14 ივლისამდე).

ორ ივლისს მტერმა სასტიკად დაბომბა სოხუმი.

ტამიშთან 600 კაციანი დესანტი გადმოსხეს. ჩვენებს, როგორც ჩანს, ღრმა ძილით ეძინათ.

წავგვართვეს სოხუმთან ორი სოფელი: ახალშენი და შრომა.

ჩვენც ვუტევთ, რაც შეგვიძლია.

შევარდნაძე 10 დღეა აფხაზეთშია.

13 ივლისს თავდაცვის მინისტრმა, ყარყარაშვილმა, აფსუას მხარეს გამოუცხადა - 24 საათში თუ ბრძოლას არ შეწყვეტთ, შეტევაზე გადმოვდივართო.

შეიძლება ასე გააფრთხილო და მოამზადო მოწინააღმდეგე?

ამ განცხადებამ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის აღშფოთება გამოიწვია.

დღეს (14/VII) გადის ულტიმატუმის 24 საათი.

ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

13-ში მორის ფოცხიშვილი დავასაფლავეთ.

დავკრძალეთ სამთავროს ტაძრის ეზოში, მცხეთაში.

დავწერე ორი გამოსათხოვარი წერილი. ერთს მწერლების გვარი მოვაწერე („თბილისში"), მეორეს - ჩემი („საქართველოს რესპუბლიკაში").

ოფიციალურ ნეკროლოგში მწერალთა კავშირს ჩემი გვარი „გამორჩენია". არა და, მორისის უახლოეს მეგობართა შორის ვითვლები.

მჭედლურმა საიდუმლოდ მითხრა, ჩანს, შეეშინდათ, შევარდნაძესთან შენი ხელმოწერისა, იციან, რომ შევარდნაძეს არ უყვარხარო.

რაც მთავარია, მავიწყდებოდა: 8 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში" გამოვაქვეყნეთ (ჩემი დაწერილია) მიმართვა გამომცემლებისადმი. ხელს ვაწერთ: გ.ფანჯიკიძე, მე, ანა კალანდაძე, შოთა, მურმანი, თ.წივწივაძე, ჯ.ღვინჯილია, ვ.ჯავახაძე, ნ.გრიგალაშვილი, ე.კვიტაიშვილი...

როგორც იქნა, დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის" დამახინჯების წინააღმდეგ ჩემი ბრძოლა იმით, რომ გამომცემლები გავაფრთხილეთ: არ დაუშვან აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დაშვებული შეცდომების გამეორება მასიურ გამოცემებში.

ივნისში გამოვიდა ეროვნული იდეოლოგიის პარტიის გაზეთი „მეობა". ჩემი ვრცელი ინტერვიუა დაბეჭდილი.

ამ გაზეთში ყოფილი ზვიადისტები არიან, მაგრამ, რაც მთავარია, საშუალედო პოზიცია უჭირავს გაზეთს.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-59.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

[illegible]

### საქართველოს მთლიანობის აღსადგენად (?)..

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მადლიერება გამოხატეს ჟურნალისტებისადმი და აღნიშნეს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ცენზურისა, საქართველოში შეიძლება თავისუფალი აზრის გამოხატვა და ყველაფერი ეს თავისუფალი პრესის მეშვეობით ხდება.

პრეს-კონფერენციაზე წაიკითხეს მიმართვები. პირველ მიმართვაში საქართველოს მოსახლეობისადმი და ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი საზოგადოება მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა მოხსნის ხელოვნურად შექმნილ ყოველგვარ ბარიერს, რამეთუ კონსტიტუციის აღდგენა-ამოქმედებით იურისდიქცია გავრცელდება ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე. მეორე მიმართვა ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებისადმია. საზოგადოება მოუწოდებს ყველას, ვინც დღეს იარაღით ხელში ქვეყნისა და ერის ინტერესებს უნდა იცავდეს - ნუ გახდებიან ბრმა იარაღი კოლაბორაციონისტული რეჟიმის ხელში ხელისუფლების შესანარჩუნებლად და ნუ შეეცდებიან ჩაახშონ ქართველი ერის მშვიდობიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. (იფრინდა)

• წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ჩინოვნიკური ინტრიგები

## ფილიპ ბობკოვი

**გამოირკვა**, რომ ეს მეცნიერი მსუბუქად იყო ავად. დავუკავშირდი, მივიღე მიწვევა და ვესტუმრე. მაგიდასთან გაიმართა საუბარი მისი და სერგეი ხრუშჩოვის ერთობლივი ნაშრომის შესახებ. მან ყველაფერი დაწვრილებით მომიყვა და ჩემთვის ცხადი გახდა, მისი წვლილი უფრო მეტი იყო ნაშრომში, ვიდრე ხრუშჩოვის. ჩანდა, რომ მასპინძელი მიხვდა ჩემი ვიზიტის მიზანს და განმიცხადა, რომ ამ ნაშრომს მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც იგი სხვა, უფრო საინტერესო პრობლემების კვლევით არის დაკავებული, ხოლო ხრუშჩოვისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი სიტყვით, იგი მზად არის უარი განაცხადოს ნაშრომზე სერგეის სასარგებლოდ. ჩვენ მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ გუნებაში ჩემს თავს მაინც ვადანაშაულებდი. დილით დავურეკე შელეპინს და მოვახსენე დავალების შესრულების შესახებ.

– შემოდით ჩემთან!

შევედი. ვგრძნობ, იგი დაძაბულია. ჩემს განმარტებებს ელოდება.

– აბა?

– თქვენი დავალება შევასრულე;

– კი მაგრამ, ის ხომ ავად იყო!

– მისივე მიწვევით მივედი. თქვენ ხომ მიბრძანეთ.

– თქვენ თავი გააცანით?

– რა თქმა უნდა, მოწმობაც ვაჩვენე და ყველაფერი ავუხსენი.

– კერძოდ რა?

– განვუმარტე, რომ მაინტერესებს სერგეი ხრუშჩოვის როლი მათ ერთობლივ ნაშრომში. კეთილად დავშორდით ერთმანეთს. მან აღმითქვა, რომ აღარ ექნება პრეტენზია ამ ნაშრომის ავტორობაზე და ამ პატივს სერგეი ხრუშჩოვს დაუთმობს. თუმცა, გულახდილად გეტყვით, ალექსანდრ ნიკოლაევიჩ, ხრუშჩოვმა ნამდვილად სხვისი რამის დათრევა მოიწადინა.

შელეპინმა გაიღიმა და მე მომეჩვენა, რომ მას გულზე მოეშვა. ეტყობა, თვითონაც შიშობდა, თუ რა შედეგით დამთავრდებოდა ეს მოლაპარაკება. დარწმუნებული ვარ, ეს არ იყო მისი ინიციატივა. თხოვნა ნამდვილად სერგეის მხრიდან მოდიოდა. შეიძლება თვით ნიკიტა სერგეის ძისაგანაც.

ჩემს წინაშე იჯდა ადამიანი, რომელიც მზად იყო უფროსობის ნებისმიერი დავალების შესასრულებლად, მაგრამ ამავე დროს სურდა პრინციპული გამოჩენილიყო. უნდა გამოგიტყდეთ, მეწყინა მის მიმართ შთაბეჭდილების დაკარგვა.

საინტერესოა, რაზეა დამოკიდებული ხელმძღვანელის ავტორიტეტი? როგორ ყალიბდება იგი?

როგორც ცნობილია, უნაკლო ადამიანი არ არსებობს. სავარაუდოა, ყოველთვის ჩვენთვის ქვეშეცნეულად, ერთმანეთს ვუჯერებთ ადამიანის დადებით და უარყოფით თვისებებს. აი, შელეპინიც გამოცდის დროს აღმოჩნდა რთული და წინააღმდეგობრივი პიროვნება.

თავის დროზე ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებულმა ნარკვევმა. საქმე ეხებოდა ოდესის ვეშაპმჭერი ფლოტილიის გენერალური კაპიტან-დირექტორის, სოლიანიკის თაღლითობას. გაზეთის პუბლიკაციამ პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრის: პოდგორნის, შელესტის, პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის მდივნის სინიტას და თევზის მრეწველობის მინისტრის ი.იშკოვის უკმაყოფილება გამოიწვია. მზადდებოდა გაზეთის წინააღმდეგ გამოსვლა. შელეპინი პოლიტბიუროს ერთადერთი წევრი იყო, ვინც ობიექტური პუბლიკაციის დასაცავად გამოვიდა. ბრძოლა რამდენიმე თვის განმავლობაში მიდიოდა. საბოლოო გადაწყვეტილება პარტიის ცკ-ს სამდივნოს უნდა გამოეტანა. ბიუროს სხდომა ბრეჟნევს მიჰყავდა, რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით მერყევი პოზიცია ეკავა და მაინც, მიუხედავად სოლიანიკის მომხრეთა აქტიური მხარდაჭერისა, კაპიტან-დირექტორი მოხსნეს სამუშაოდან. სრულიად ცხადი ფაქტების უარყოფა შეუძლებელი იყო.

დიდი სიმამაცე და პრინციპულობა იყო საჭირო პოლიტბიუროს წევრების უმრავლესობის წინააღმდეგ წასასვლელად. აქ კი შელეპინის დამსახურება უნდა აღინიშნოს.

კიდევ არაერთი შემთხვევა იყო, როცა შელეპინს მტკიცე პოზიცია დაუკავებია. ის არცთუ ისე დამჯერე შემსრულებელი აღმოჩნდა, როგორც ეს იყო თავიდან. თუმცა ვერც შელეპინმა და ვერც სამდივნოს სხვა წევრებმა ვერ მოახერხეს „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქტორის, იური ვორონოვის, მოკრძალებული და წესიერი ადამიანის დაცვა. „ქვეყნის მმართველებმა" არ აპატიეს მას თავიანთი დამარცხება. იგი გააგზავნეს გდრ-ში, გაზეთ „პრავდის" საკუთარ კორესპონდენტად. შეჰპირდნენ წელიწადნახევარში გამოგცვლითო, თოთხმეტ წელს კი დააყოვნეს.

შელეპინის სუკ-ის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მოხდა მასობრივი არეულობები. მოსახლეობის უკმაყოფილების ამგვარ გამოვლინებას უსაფრთხოების ორგანოები ვერ ხვდებოდნენ მომზადებული, რაც დაბნეულობას იწვევდა ხელმძღვანელობაში. პირველი ამგვარი აფეთქება ვლადიმირის ოლქის ქალაქებში მურომსა და ალექსანდროვოში მოხდა. არ მახსოვს, რა იყო კონკრეტული საბაბი, მაგრამ არეულობის მონაწილეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მილიციას და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, ბრალი დასდეს მექრთამეობაში, მოსახლეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. გამხეცებული ბრბო არბევდა პარტიის რაიონული კომიტეტების შენობებს, მილიციის განყოფილებებს. ამავე დროს არ ჰქონდათ პრეტენზიები პროკურატურისა და სუკ-ის, არც ხელისუფლების სხვა სტრუქტურის მიმართ. პირიქით, ხალხი მათთან დახმარების სათხოვნელად მიდიოდა.

მახსენდება სამოციანი წლების დასაწყისში საქართველოში მომხდარი ამბავი - ქალაქ ზუგდიდში ახალგაზრდათა ჯგუფმა შექმნა არალეგალური ორგანიზაცია ერთი ადგილობრივი საწარმოს ხელმძღვანელობის უკანონობის, უსულგულობისა და თვითნებობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სუკ-ში მოვიდა ცნობა, რომ ზუგდიდში შექმნილია იატაკქვეშა ანტისაბჭოური ორგანიზაცია. შეშფოთების საბაბი იყო: თუ ახალგაზრდებს სასიკეთო მიზნები ამოძრავებდათ, რაში დაჭირდათ საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა!

დადგა საკითხი „დანაშაულის" გამო პასუხისგების შესახებ. ჩემი კოლეგები სერიოზულად დაფიქრდნენ, რა არის ამგვარი მოვლენების მიზეზი და ალბათ პირველად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არალეგალური ორგანიზაციის შექმნა ახალგაზრდებს ცხოვრებისეულმა უსაშველობამ გადააწყვეტინა. ჩვენ მხარი დაგვიჭირა საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარემ ა.ნ.ინაურმა, განსაკუთრებით მისმა მოადგილემ ბ.კაციტაძემ. ახალგაზრდებს შორის არავინ დაუსჯიათ, მეტიც, მისი ყოველი მონაწილე კომკავშირულ სამუშაოებზე გადაიყვანეს, სრულიად კანონიერ სტრუქტურაში. ხოლო საწარმოს ხელმძღვანელები პასუხისგებაში მისცეს. ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ იმ გარემოების გამო გახდა შესაძლებელი, რაც უშიშროების ორგანოებში XX ყრილობის შემდეგ შეიქმნა.

შელეპინის მიერ სუკ-ის ორგანოების რეორგანიზაციის ჩატარების შემდეგ მე გავხდი კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი. ეს სამუშაო მომწონდა, იგი მუდმივად მოვლენათა ცენტრში ყოფნას გვაიძულებდა. პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ქვეყნის პრობლემებზე და სხვა სახელმწიფოებზე დაკვირვებას მოითხოვდა.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით საზღვარგარეთელ ჟურნალისტებს, ვეხმარებოდით ჩვენი პრობლემების გაგებაში, რა ხდება ჩვენთან. მათგანაც პოლიტიკურ ინფორმაციას ვიღებდით. მალე მე მივხვდი, რომ ძალზე საჭირო ინფორმაცია ხშირად მაღალი ეშელონებში არ აინტერესებდათ. მაგრამ თუ ნ.ს.ხრუშჩოვი აკეთებდა მოხსენებას, საშველი არ იყო უცხოელი ჟურნალისტებისაგან. უფროსობა არაორაზროვნად მიგვანიშნებდა, თუ რა სახის გამოხმაურება იყო საჭირო. ისეთი, როგორც ნიკიტა სერგეის ძეს ესიამოვნებოდა.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №58,59.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე და ამერიკა

ვახტანგ გოგუაძე

ამას წინათ რუსთაველის პროსპექტზე თვალი მოვკარი ცნობილ კრიტიკოსს, აბრა-ვიტრინებს ათვალიერებდა. ახალჩამოსული ჩანდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. იგი ამერიკოფილიცაა და კონსტანტინეფილიც. ბევრია ჩვენში ასეთი. მეგობრულად და პატივისცემით მათ განსასჯელად გთავაზობთ ამ რეპლიკას — კონსტანტინე და ამერიკა. მკითხველს ნუ ეჩოთირება, თუ კონსტანტინე გამსახურდიას სახელის წინ არ დავსვი სიტყვა „ბატონი". როცა პიროვნება ეპითეტს აღემატება, თვითონაა ეპითეტი, სჯობს ასე უშუალოდ; როგორც არ ვამბობთ ბატონი ილია ჭავჭავაძე, ბატონი აკაკი წერეთელი, ბატონი ვაჟა-ფშაველა... კლასიკოსები უნდა გავათავისუფლოთ მოკვდავთა რანგის მიმართვებისგან...

თავისთავად საკითხი — კონსტანტინე და ამერიკა — სადოქტორო დისერტაციის თემად გამოდგებოდა პოლიტოლოგიაში თუ ფილოლოგიაში. მე მხოლოდ რეპლიკას გთავაზობთ საფიქრელად, სადარდებლად. ცოტა შორიდან მოვუვლი სათქმელს. კონსტანტინეს ის ორი ესსე, თქვენი მსჯელობის საგნად რომ უნდა ვაქციო, ნახევარი საუკუნისაა. თქვენც გქონდათ წაკითხული და მეც. მაგრამ სულ სხვანაირად იკითხება დღეს. ამიტომაც ამბობენ, — კლასიკოსის მკითხველი დრო არისო. ადრე მიფიქრია, ალბათ, კონიუნქტურას გაუწია ანგარიში და იმიტომ სპობს ასე კონტინენტის ლიდერ ქვეყანას-თქო.

საბჭოთა დიქტატურის პირობებში ხელოვანს ხარკი უნდა გადაეხადა იდეოლოგიისათვის. იყვნენ კონიუნქტურშჩიკები, ლოზუნგისტები, ტაშისტები, რის გამოც მათ ხელოვანის ტიტულსაც ანიჭებდა ხელისუფლება. ტალანტის მეუფენი კი ერთ-ორ ციტატას მიაშავებდნენ სატანას და შემდეგ ასრულებდნენ მუზის დავალებას. კონსტანტინე კონიუნქტურასაც კი საქმის სასარგებლოდ იყენებდა. ბევრ ნიუანსს ვხვდებით მასთან, კონიუნქტურული ხარკი რომ გვეგონა, მაგრამ ათეული წლების შემდეგ შორს მიმავალი აზრი აღმოჩნდა. არანაირი ძალდატანება არ ემჩნევა ბრწყინვალე ესსეტატიებს: „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი", „მშვიდობის მტრები". ჩვენ მარტო საბჭოთა იმპერიალიზმი გვეგონა საშინელება, თორემ ამერიკული, — რას ამბობთ? კომუნისტების ოინები გვეგონა, რომ ლანძღავდნენ, — ხიროსიმასა და ნაგასაკზე ატომური ყუმბარები რომ ჩამოყარეს, თითქოს-და ცუდი რამე ქნესო. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რკინის ფარდის ახსნამდე ჩვენ დასავლეთის მიმართ ხამის მდგომარეობაში ვიყავით. დღესაც კი დასავლურში განურჩევლად გულისხმობენ ამერიკულსაც და ევროპულსაც.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, კონსტანტინე გამსახურდიამ ევროპაში იცხოვრა, ისწავლა — იგრძნო და იცნო ის, რასაც ტალანტური ბუნება სწვდება. ევროპა სავსეა ევროპელებით, მაგრამ უმეტესობამ არ იცის, რა არის ევროპა. ჩვენ რომ თავის დროზე ღრმად ჩავწვდომოდით და დაგვეჯერებინა კონსტანტინესთვის, ასეთი ხამის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. ახლა შევცვივდით დასავლეთში, ვნახეთ ის სამოთხე — არც ისეთი ყოფილა, როგორც გვეგონა. ის სამოთხე ჩვენი არ არის. ჩვენ კი გვეგონა, სამოთხის მკვიდრნი წამოხტებოდნენ და სამოთხეს გაგვიზიარებდნენ. ფრანგები ამბობენ: „საკუთრება — ქურდობაა". მდიდარი იმიტომაა მდიდარი, რომ ვიღაცეები ღარიბები უნდა იყვნენ, ფეტვის მარცვალი არ გაუცვივათ ხელიდან. გულმოწყალენი არ არიან ხორცით მდიდარნი. ბევრ საოცრებას წავაწყდით, ბევრსაც ვიხილავთ. ჩვენი ცხოვრება საცხოვრებლად არ ვარგა, თორემ საყურებლად გადასარევია.

კონსტანტინე გამსახურდიას სძაგს გერმანული ფაშიზმი და აღმერთებს გერმანულ კულტურას. თავად სთარგმნის გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი"-ს. აღარაფერს ვამბობთ მის ჩინებულ ნარკვევზე „გოეტეს ცხოვრების რომანი". კონსტანტინეს სძაგს იტალიური ფაშიზმიც, მაგრამ აღმერთებს იტალიურ კულტურას. სთარგმნის უძნელეს სათარგმნელს დანტეს „ღვთაებრივ კომედიას". კონსტანტინე გამსახურდია თავად არის ევროპელი მოაზროვნე — მწერალი, რაც სრულადაც არ უპირისპირდება მის ღრმა ქართულ თვითმყოფადობას. ასე რომ, დაეჯერება მას, ევროპისა და ამერიკის სულს რომ უპირისპირებს ერთმანეთს. მწერალს გულწრფელად სძაგს ამერიკელი იმპერიალისტები, „მაგრამ ამაოა მათი ოცნება, ამერიკის, ევროპისა და აზიის ხალხები არავის დაანებებენ მონობის უღელში შებმას".

კონსტანტინე ღრმად სწვდება ამერიკული ფსევდო კულტურის ექსპანსიონისტურ გამხრწნელ ბუნებას, მაგრამ სინანულით აცხადებს: „ახალმა ამერიკამ დაივიწყა ჰუმანისტური ტრადიციები შესანიშნავი ამერიკელი მწერლებისა — ლონგფელოსი და ბიჩერ სტოუსი; ჰაიავატას სიმღერას და „ბიძია თომას ქოხს" რომელი ჩვენთაგანის გულში არ აღუძრავს სათნოებით მოსილი სიყვარული ბედისაგან განწირული ფერადკანიანი თანამოძმეების მიმართ". მწერალი შეუწყნარებელია პლუტოსის (ბიბლიურად მამონას) კერპის მიმართ, სიმდიდრის კერპის მიმართ. კონსტანტინეს აზრით, იანკი პლუტოკრატები (ამერიკული მდიდარმმართველობა) მტერია ჰუმანიზმისა, კაცობრიობისა. თავისებურია მწერლის თვალსაზრისი მარშალის გეგმისა და ნატოს მიმართ. სამხედრო წოდებით გენერლის, გვარად მარშალის გეგმა ასეთი გახლდათ: ამერიკის დახმარება ევროპის ქვეყნებისათვის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენისა და განვითარებისათვის (1948-51 წწ.). მასში მონაწილეობდა 17 ქვეყანა. 1949 წლიდან შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკის პაქტი (ნატო). ეს სამხედრო კავშირი ევროპასა და მთელ მსოფლიოში ამერიკის ჰეგემონიის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ვნახოთ, რას ამბობდა მწერალი 47 წლის წინათ: „თუ გერმანელი ფაშისტები ცინიკური გულახდილობით ქადაგებდნენ და პრაქტიკულადაც ეწეოდნენ არაარიელთა კასტრირებას, იანკი პლუტოკრატებმა გამოიგონეს ვითომდაც „დახმარების" პროფილაქტიკა: ევროპის მარშალიზირება და ჩრდილო ატლანტიკის პაქტი.



ჩვენში ბალღებმაც იციან, რომ ეს ყოველივე მოასწავებს ევროპის ხალხების ეკონომიურსა და პოლიტიკურ დამონებას, არაამერიკული ხალხების ნაციონალური ინდუსტრიის ანულირებას, მათი კულტურის დიფუზიას და მთელ მსოფლიოში ისეთი ეთნიური და მორალური დომხალის დამყარებას, რომელიც მეფობს ამერიკაში ბენიამინ ფრანკლინის დღეებიდან მისტერ ტრუმენამდის.

ჩვენ კარგად ვიცით ისტორიიდანაც: მეჯოგე მონგოლებისა და ყაჩაღი თურქმანების ექსპანსიას ნგრევისა და ჟლეტის მეტი არაფერი მოჰყოლია სხვა ერებისათვის.

უნდა ითქვას, ამერიკელები მხოლოდ ელექტრონის სკამითა და ატომური ენერგიით თუ განსხვავდებიან ამ მოთარეშე ნომადებისაგან. წარმოსადგენია, რა კულტურა უნდა დანერგონ მსოფლიოში იანკის ნაშიერებმა, რომელთაც არც მწერლობა, არც მხატვრობა, არც მუსიკა, არც ხუროთმოძღვრება და არც ნაციონალური ისტორია და მისი ტრადიციები აროდეს შეუქმნიათ და ვერც შექმნიან, რამდენადაც ამ ეთნიურ დომხალს არ გააჩნია ნაციის ატრიბუტები. ერთადერთი, რაც მათ შექმნეს — ეს არის დოლარის კულტი და უძლობელი კუჭის აპოლოგია („მშვიდობის მტრები").

მწერალი არც ისე უცნობ აზრს ამბობს ინგლისის პოლიტიკურ პროფილზე, მაგრამ ამბობს თავისი სტილით. ქვეყნის პორტრეტს კაცის პორტრეტივით გვიხატავს:

„ინგლისი მუდამ და მარადჟამ ცნობილი იყო, როგორც შტრეიკბეხერი ევროპის მიმართ. თუმცა დიდი ბრიტანეთის კუნძული ევროპაში ეგულებოდათ გეოგრაფებს, მაგრამ ინგლისი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იმის ცდაში იყო, ევროპად არ ჩათვლილიყო, ე.ი. ევროპა თავისი გავლენის სფეროდ ექცია. ამიტომაც ითვლებოდა იგი ყველა ომის ამტეხად და ყველა ზავისაგან მოგების მომხვეჭად. და დღეს ეს ცბიერი და ამაყი ალბიონი გადაიქცა იანკი პლუტოკრატების სანჩო-პანსად, მათ ნოქრად" („მშვიდობის მტრები").

შექსპირისა და ბაირონის ქვეყანას, რომელთა შემოქმედებას შესანიშნავი წერილები, ნარკვევები უძღვნა კონსტანტინემ, დიდებული წვლილი აქვს მსოფლიო კულტურაში. მაგრამ პოლიტიკა და სახელმწიფოს ინტერესები სხვა რამ არის.

ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიამ ევროპაში ფეხი მოიკიდა. მაგრამ დღეს თავს იჩენს მრავალი პრობლემა. ყველა სახელმწიფოს თავისი ინტერესები აქვს. ყოველთვის არ ემთხვევა მათი ინტერესები ერთმანეთს. ამერიკის პრეზიდენტები ხშირად ხაზს უსვამდნენ ამერიკის დემოკრატიულობის მისიას. მაგრამ ის, რაც სურთ თავიანთი ქვეყნისათვის, საწინაალმდეგო სურთ სხვა ქვეყნებისთვის: „პირველ იმპერიალისტურ ომში, ჩვენი თაობის თვალწინ, აშშ-ს პრეზიდენტმა ვილსონმა ჯვაროსნული ომი გამოაცხადა დემოკრატიის, ერების თავისუფლების, კულტურისა და ცივილიზაციის სახელით.

ასეთი უებარი ცინიზმით სავსე ყომარბაზობა ჯერაც არც ერთ სახელმწიფოს მესაჭეს არ უკადრებია" („ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი").

სხვათაშორის, ეს ის ვილსონია, რომლის გეგმით 1919 წელს კავკასია უნდა შესულიყო თურქეთის პროტექტორატში.

„ამერიკის მიერ ევროპულ საქმეებში ინტერვენციის შედეგი იყო არა დაჩაგრულთა და უფლებააყრილთა შევრდომება, არამედ მიტაცება იმ ოქროს მარაგისა, რომელიც ამ ომის შემდეგ ევროპიდან ამერიკაში გატანილ იქნა".

მკაცრია ჩვენი მწერალი მილიარდერი მყვლეფავების მიმართ: „კანიბალიზმი", ე.ი. კაციჭამიაობა, რომელსაც ძველი ბერძნები ანთროპოფაგიას უწოდებდნენ, ტაბუსა და ტოტემის ბნელი ეპოქების სამარცხვინო გადანაშთი, ჩვენს დღეებამდის მოჰყვა ავსტრალიის, მელანეზიისა და განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ ჩამორჩენილ ტომებს. ეს საშინელი ჩვეულება არ აღმოიკვეთა ისევ და ისევ იმ ევროპელი ხალხების დაუდევრობით, რომელნიც ავსტრალიისა და აფრიკის ხალხებთან მიდიოდნენ არა როგორც ცივილიზატორები, არამედ როგორც მყვლეფელები და წამგლეჯები. ჩვენს საუკუნეში გრანდიოზული მასშტაბით გავრცელდა კანიბალიზმი ჩრდილო ამერიკაში არა ესკიმოსების ან ინდიელების წრეებში, არამედ ამერიკული მილიარდერების მთავრობის თეთრ სასახლეში, ამერიკული დიპლომატიის, მწერლობის, ჟურნალისტიკის „მაღალ" სფეროებში.

კონსტანტინე ღრმად დაკვირვებული კაცი იყო. შეკვეთით რომ არ გაბრაზდებოდა რომელიმე ქვეყნის მიმართ, ეს ხომ ცხადია. მეზობელი ქვეყანა მეზობელს რომ წაეჩხუბოს, კიდევ გასაგებია, მაგრამ ათასობით კილომეტრს რომ გადაიფრენს და უმწეო ადამიანებს დაბომბავს ავიაცია, „ჰაერის მეკობრეები", რა ჰუმანიზმზე, დემოკრატიაზე, მორალზე შეიძლება ლაპარაკი?

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

## „ალბათ თვითმხილველთა მოშორება გახდა საჭირო“

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნებთან დაკავშირებით, თავისუფლების პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი ტაბიძე და პარტიის სათათბიროს სპიკერი არჩილ მორჩილაძე კახეთში, იმერეთსა და გურიაში იმყოფებოდნენ.

პარტიის ლიდერებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე უკმაყოფილება გამოთქვეს არჩევნების მოსალოდნელ გადადებასთან დაკავშირებით. „შესაძლო არეულობის მოტივით არჩევნების გადადება სინამდვილეს არ შეესაბამება“ - განაცხადა გ.ტაბიძემ.

კორუფციის თემასთან დაკავშირებით პოლიტიკურმა მდივანმა აღნიშნა, რომ გარდა სიგარეტის ბიზნესთან დაკავშირებული აჟიოტაჟისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში სპირტის ბიზნესის ხელში ჩამგდებთა ბრძოლა, რომელთა შორის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები არიან.

რაც შეეხება აფხაზეთის საკითხს, გ.ტაბიძის თქმით, პარტია კონტაქტს ამყარებს აფხაზურ მხარესთან. ზაფხულში მოსალოდნელია მათთან შეხვედრა სოხუმში ან მოსკოვში.

„იმ აღეირახსნილ კამპანიას, რაც სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგა“-სთან დაკავშირებით ტრიალებს, პარტია უყურადღებოდ არ დატოვებს“ - განაცხადა გ.ტაბიძემ. მან დევნაში მყოფი „ომეგა“-ს წევრების პარტიაში გაწევრიანების შესაძლებლობა გამოთქვა.

ა.მორჩილაძის თქმით, „ომეგა“-ს წევრთა დევნის ერთ-ერთი ვერსია ის არის, რომ ისინი მოწმენი არიან უშიშროების მინისტრის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის და „ალბათ თვითმხილველთა მოშორება გახდა საჭირო“. (იფრინდა)

## მიწით მოსარგებლე ფიზიკურ პირთა დაბეგვრა მიუღებელია

1998 წლის საგადასახადო კანონის მიხედვით, დაწესებულია გადასახადი მიწით მოსარგებლე პირებზე. „აგრარულ საკითხთა კომიტეტის“ პოზიციით, ეს არ უნდა გახდეს ქვეყნის შემოსავლის წყარო, რადგან იგი გამოიწვევს სამეურნეო აქტივობის დაცემას, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სოფლად არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ამ ეტაპზე ფიზიკურ პირთა დაბეგვრა მიუღებელია. (პრემიერი)

## ტყეებს მოსპობა ემუქრებათ

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 2000 წლისათვის საქართველო მსოფლიოს აჩუქებს თავისი დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების ნაწილს, თავისთავად გულისხმობს საჭირო თანხების გამოყოფას. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მოთხოვნით ტყეებისა და ნაკრძალებისათვის ბიუჯეტში 102 ათასი ლარი უნდა გამოყოფილიყო, ვინაიდან ეს საკითხი არ შედის ბიუჯეტში. დეპარტამენტი იძულებული გახდება უარი თქვას საკოლმეურნეო ტყეებზე, რაც მის სრულ განადგურებას გამოიწვევს. (პრემიერი)

# პენსია სახელმწიფოსაგან მოწყალება კი არაა, არამედ დამსახურებული შრომის ღვაწლი

*ინტერვიუ საქართველოს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, ეკონ.მეცნ. კანდიდატ, დოცენტ* ***სოლიკო პავლიაშვილთან***

*– ბატონო სოლიკო, ათასგვარი გადასახადით დამძიმებული მეწარმეების პროტესტი ბუნებრივი გრძნობის გამოხატულებაა. ეს საშემოსავლო, ის მოგებისაო, იჯარისაო, დასაქმების, ჯანდაცვის, საგზაო, ადგილობრივი მოსაკრებლები და სოციალური დაზღვევის საკმაოდ სოლიდური, დარიცხული ხელფასის თითქმის მესამედი (27%). ჩვენი მიზერული ხელფასების შემყურე, რიგითი მოქალაქეები გულისტკივილით მოგვმართავენ, სოცდაზღვევა, როგორც განვითარებული ქვეყნების მაგალითზე გაგვიგონია, ხალხის სოციალურ დაცვას, მისი კეთილდღეობის გაზრდას ემსახურება, ჩვენში კი ამოდენა გადასახადებით ლუკმა-პურს გვაცლიანო, ნუთუ ესაა რეფორმატორული პოლიტიკაო. ამიტომაც გადავწყვიტეთ თქვენთვის მოგვემართა ამ უაღრესად საჭირბოროტო პრობლემის გასარკვევად. დავიწყოთ თავიდან, რაში მდგომარეობს სოცდაზღვევის დანიშნულება?*

– ნება მომეცით, მადლობა გადავუხადო გაზეთ „საქართველოს“, რომელიც დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით, რამეთუ სრულიადაც არა ვართ განებივრებული მასმედიის მხრიდან ყურადღებით და ცხადია, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისათვის მისი ფუნქციებიც თითქმის გაუგებარია.

ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი სოციალური დაცვა, რაც არის სახელმწიფოს მოვალეობა, მის მიერ გაწეული ღვაწლის ანაზღაურება: ეს არის, მარტივად რომ ვთქვათ, საძირკველი ქვეყნისა. სწორედ ამ კუთხით ხდებოდა კომუნისტების მიერ ხალხის გრძნობებზე სპეკულაცია. ეს იყო დიდი ავანტიურა, ხალხის სისხლზე ჩატარებული მსოფლიო-ისტორიული ექსპერიმენტი, რისი რეანიმაციის მცდელობა დღესაც გრძელდება, ვინაიდან მასობრივი ცნობიერების ბუნება, კონსერვატორული ხასიათისაა და მოგეხსენებათ, რომ მის ცვლილებას თაობები სჭირდება.

ჩვენი ფონდიც ამ ცვლილებათა ქარტეხილში, 1991 წლის 3 მარტს შეიქმნა, მოხდა პროფკავშირებიდან მისი ფუნქციების გამიჯვნა და დაიწყო ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ახალი ბორბლის გამოგონებას. მოწინავე ქვეყნებში სოცდაზღვევის სისტემა ათეული წლების განმავლობაში აპრობირებულია, იხვეწება და ვითარდება. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იგი არის ერთ-ერთი უპირველესი გარანტი სახელმწიფო წყობილების სტაბილურობისა და მდგრადობისა. პარტიები ცვლიან ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში, მაგრამ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ სფეროდ რჩება სოციალური დაზღვევა, მიუხედავად ათასი ჯურის პოპულისტების თავდასხმებისა, რაც საფუძველს აცლის კომუნისტების დემაგოგიას. გადავხედოთ ამერიკისა და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და ნათლად გამოჩნდება მათი უსუსურობა, ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში ჯერ კიდევ აქვთ კომუნისტებს გასავალი. დასავლურმა დემოკრატიამ უფრო ადრე მოიხადა კომუნისტური სახადი, ჩვენ კი სნგ-ს სივრცეში ვტრიალებთ, სადაც განსხვავებულ პრობლემებს ვაწყდებით და გასაგებია, არსებულ სპეციფიკურ ვითარებას ვერ გაექცევა ახლადფეხადგმული სოცდაზღვევის სტრუქტურაც.

*– „კომუნისტური სახადი“ კიდევ უფრო გაამწვავა ჩვენი საზოგადოების დუხჭირმა სოციალურმა პირობებმა, რაც, ბუნებრივია, არის უაღრესად ნოყიერი ნიადაგი სხვადასხვა ტიპის ავანტიურისტებისათვის, რომლებიც შეეცდებიან ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხის უკმაყოფილების გამოყენებას უტოპიური დაპირებებით. ეს უკვე იყო. გავიხსენოთ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, როცა ხელისუფალთა უნიათობის გამო პეტერბურგში პურიც კი ვერ გამოაცხვეს (არადა ხორბალი იყო) და რა შედეგიც მივიღეთ, შესანიშნავად ისარგებლეს ბოლშევიკ-ავანტიურისტებმა. ბუნებრივია, ასე მარტივად არ წყდება ხალხის ბედი, მაგრამ ის, რომ სოციალური პრობლემების უგულვებელყოფა დიდ კატაკლიზმებს უქადის სახელმწიფოებს, ადასტურებს განვლილი ისტორია. ამ დროს კი, ჩვენ სიმბოლურ პენსიასაც რომ ვუგვიანებთ მის იმედზე მყოფ ადამიანებს, ამაზე კომენტარიც ზედმეტია...*

– სოციალური სფერო თავის მაცოცხლებელ წყაროს ღებულობს ქვეყნის ეკონომიკიდან, ამიტომაც რა დონეზეცაა განვითარებული ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგები, შესაბამისად იზრდება სოცდაზღვევის დაფინანსებაც, ე.ი. მაღლდება მოქალაქეთა კეთილდღეობა.

ეს ზოგად, ახლა გადავიდეთ კონკრეტულ პრობლემებზე, რაც დაგვანახებს იმ მიზეზებს, რაც იწვევს პრეტენზიებს ჩვენს მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღრიცხვაში მოექცეს ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი. მათი ჩართვა სოცდაზღვევის სისტემაში არის საგადამხდელო ბაზის გაზრდის საფუძველი. დღეს კი ძლიერ გვირთულებს მდგომარეობას ის, რომ სოცდაზღვევის გარეშე არის დარჩენილი მომუშავეთა საკმაოდ დიდი კატეგორია: მცირე ბიზნესის, ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს, ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც არ აწარმოებენ შრომის ანაზღაურების ტრადიციულ ფორმებს, ვინაიდან არ იხდიან სოცდაზღვევის გადასახადს, თუმცა, სახელმწიფო პენსიაზე პრეტენზია ყველას ექნება. შრომითი პენსია კიდეც თუ არ მიიღეს, სოციალური პენსია მაინც ექნებათ გარანტირებული. დღეს ისინი იდენტურია, ამიტომაც გადასახადის ინტერესიც ნაკლებია.

საჭიროა, გაცნობიერებული იქნას ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოების მიერ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ჩვენთან თანამშრომლობით სოცდაზღვევის ბიუჯეტის შესრულებაზე ისევე, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის შევსებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, სამწუხაროდ, სუბიექტური ფაქტორი (პრეზიდენტის რწმუნებულის, გამგებლის, ადგილობრივი თვითმმართველობის) უფრო უკეთ მუშაობს, ვიდრე კანონები.

სოცდაზღვევის სახსრების ძირითადი ნაწილი, ფაქტიურად, მთელს რესპუბლიკაში თბილისის ხარჯზე გაიცემა, რაც არაა მართებული. დოტაციური რაიონები ყოველთვის იქნება საქართველოში (მთის რეგიონები), მაგრამ ისეთი ქალაქები, როგორიცაა: ფოთი, რუსთავი, ბათუმი და სხვა თავად უნდა გახდნენ რესპუბლიკის დონორები და არა ისე, როგორც დღეს არის.

დიდმნიშვნელოვანია მინიმალური ხელფასის პრობლემა, რამეთუ ჩვენი შემოსავლების გაზრდა მასზეა დამოკიდებული. ფაქტიურად აჩვენებენ მინიმალურ ხელფასს, გარიგება ხდება ჯიბიდან ჯიბეზე საბანკო ოპერაციების გვერდის ავლით. გვაქვს ფაქტები, რომ ხშირად თავად ბანკებიც არღვევენ სოცდაზღვევის სავალდებულო შენატანების გადახდის წესს – გასცემენ ხელფასს სოცდაზღვევის დარიცხვის გარეშე. ასევე ხდება სოფლის მეურნეობის ბევრ საწარმოებში, სადაც შრომის ნატურით ანაზღაურების გაცემაზე არ დგება უწყისი, ან თუ შედგენილია, არ ხდება სოცდაზღვევის დარიცხვა. ასევე არ შეიძლება რეგიონის დონეზე (მაგ.ქუთაისი) რეგულირდებოდეს მინიმალური ხელფასის საკითხი.ამას კანონი უნდა არეგულირებდეს, რომ დამსაქმებელს არ ჰქონდეს უფლება გარკვეულ თანხაზე ნაკლები გადაუხადოს დაქირავებულს. ამიტომაც აუცილებელია ამ კანონის დროულად მიღება.

დიდი რაოდენობით ხელფასების გაუცემლობა ხდება მიზეზი პენსიების გაუცემლობისა. ასევე პენსიონერთა აღრიცხვის პრობლემები, რაც დაკავშირებულია მიგრაციის, მომუშავე პენსიონერების, გარდაცვალების და სხვა საკითხებთან.

*– თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემები, მართლაც დამაფიქრებელია. იგი, ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია ჩვენი გაძვალტყავებული, თოთო ბავშვის მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს კისერზე და მოჩანს კი სინათლე გვირაბის ბოლოს?*

– „იმედი უბედურთა მეორე სულია“ – უთქვამს დიდ გოეთეს და მოგახსენებთ, თუ რა საფუძველს ემყარება ჩვენი იმედები.

დასაწყისი ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს, როცა იქმნება ახალი. გასაგებია, ჩვენც დიდი სირთულეების გადალახვა გვიწევს, ვინაიდან სოციალურ სფეროში პროგრესი დამოკიდებულია მიმდინარე რეფორმების წარმატებებზე. მისი ავკარგი კი, როგორც ანარეკლი წყალში, ასევე აისახება ჩვენი სტრუქტურის მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ყოველნაირად ვცდილობთ რეფორმატორული კურსის გატარებას.

უკვე შემუშავებულია სოციალური დაზღვევის პროექტი, რომელმაც გაიარა სხვადასხვა ინსტანციები, შესულია მთავრობაში განსახილველად და ვიმედოვნებთ, შემოდგომისათვის მაინც დაამტკიცებს პარლამენტი,რითაც პირველად ქართულ სინამდვილეში მტკიცე სამართლებრივი ბაზა დაუმკვიდრდება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა განხორციელებას მოქალაქეთა სოციალური დაცვის სფეროში. უფრო კონკრეტულად სახელმწიფო სოციალური დაზღვევა გულისხმობს მოქალაქეთა გარანტირებულ უზრუნველყოფას ავადმყოფობის, დასახიჩრების, პროფდაავადებების, დედობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის გარდაცვალებისა და სხვა შემთხვევებში.

როგორც ვხედავთ, სოცდაზღვევის ფონდი არ არის საპენსიო ფონდი, ვინაიდან პენსიის გარდა აქვს მთელი რიგი სხვა გაცემულობანი (მაგალითად: უნდა აფინანსებდეს ბავშვთა გაჯანსაღებას, ბავშვთა სპორტს, სანატორიუმ-კურორტულ მკურნალობას და სხვა სადაზღვევო შემთხვევებს). ჩვენი შემუშავებული პროექტი წინგადადგმული ნაბიჯია სნგ-ს სივრცეში მყოფი ქვეყნების ანალოგიურ კანონებთან, რამეთუ იგი აღიარებულია და დადებითი შეფასება მიილო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ, როგორც სოციალური დაზღვევის ქართულმა მოდელმა.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მისი შემოსავლების გადანაწილების პრინციპზე დაფუძნებულ თაობათა, ეკონომიკის დარგთა, პროფესიათა, რეგიონთა და მოქალაქეთა შრომის სოლიდარობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის არის მოსახლეობის ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვა, რომლის მიზანია შეიქმნას საინფორმაციო ბაზა სადაზღვევო სტაჟისა და შენატანების საფუძველზე, პენსიებისა და სხვა სადაზღვევო გაცემულობათა დანიშვნისა და გაცემის ორგანიზაციისათვის.

სოციალური დაზღვევის კანონი საფუძველს ჩაუყრის და დანერგავს სოცდაზღვევის იდეოლოგიას. პენსიონერს საქმე ექნება არა გამგებელთან ან მინისტრთან, არამედ მეწარმესთან, რომელიც იხდის ან არ იხდის. სწორედ მათი ურთიერთობა უნდა აიგოს ახლებურად, შეიცვალოს კომუნისტური მენტალიტეტი, რომ პენსია დახმარება, მოწყალება კი არაა, გაღებული სახელმწიფოს მიერ, არამედ დამსახურებული შრომის ღვაწლი, რაც ამ ადამიანთა შეიტანა მისი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

საუბარი მიჰყავს
**გიორგი ტალახაძეს**

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

## ასლან მასხადოვი ამიერკავკასიის ქვეყნებს უახლოეს მომავალში ეწვევა

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი ანატოლი კულიკოვი რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესის შეგნებულად შეფერხებაში დაადანაშაულა. მასხადოვისვე თქმით, კულიკოვი დაინტერესებულია ჩეჩნეთში არასტაბილური სიტუაციის შენარჩუნებით, ვინაიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პირადად აგებს პასუხს ჩეჩნეთში სისხლისღვრის გაჩაღებაზე.

მისივე თქმით, იგი უახლოეს მომავალში ეწვევა ამიერკავკასიის ქვეყნებს და მოლაპარაკებებს გამართავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან. (მეჰპრესი)

## ჩეჩნეთის დელეგაცია ესტონეთმა არ გაატარა

ჩეჩნეთის დელეგაცია ესტონეთის საბაჟომ არ გაატარა პასპორტის მოუწესრიგებლობის გამო. მათ არ სცნეს არც ძველი საბჭოური და არც ახალი ჩეჩნური პირადობის მოწმობები. ჩეჩნეთის დელეგაცია რიგიდან უკან დაბრუნდა. ინფორმაციის წყარო იტყობინება, რომ ესტონეთის საბაჟოს შეეძლო გამონაკლისის წესით გაეტარებინა ჩეჩნეთის დელეგაცია, მაგრამ ეს მათ არ გააკეთეს.

## მანევრებში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას

მიმდინარე წლის 22 ივნისს შავი ზღვის აუზში დაიწყება ნატოს სამხედრო-საზღვაო მანევრები დევიზით: „პარტნიორი-97“. საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ხომალდების გარდა მასში მონაწილეობას მიიღებენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნები: უკრაინა, საქართველო, ბულგარეთი და რუმინეთი.

## ფლორიდაში ქარიშხალი ამოვარდა

აშშ-ს ფლორიდის შტატს თავს დაატყდა ქარიშხალი „ტორნადო“. ქარიშხალი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხეებს ძირიანად თხრიდა. მსხვერპლი არ ყოფილა, სამაგიეროდ ფლორიდის შტატს ქონებრივი ზარალი მიადგა.

## თანსუ ჩილერი გენერლებს ემუქრება

ორიოდე კვირის წინ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, თურქეთის ისლამისტმა პრემიერ-მინისტრმა ერბაქანმა ძალაუფლება თანსუ ჩილერს უნდა გადასცეს. თუ ერბაქანი ამ ნაბიჯს არ გადადგამს, თანსუ ჩილერის „ჭეშმარიტი გზის“ პარტია სამთავრობო კოალიციიდან გამოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა დაიშლება და პრეზიდენტი დროებით კაბინეტს დანიშნავს. თანსუ ჩილერი ერბაქანს შეჰპირდა, რომ ძალაუფლების მიღებისთანავე გადააყენებს იმ გენერლებს, რომლებიც ისლამისტებს სამხედრო გადატრიალებით აშკარად დაემუქრნენ. მიმომხილველთა აზრით, თანსუ ჩილერის მხრიდან ეს მეტისმეტად სარისკო ნაბიჯი იქნება.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება 2 ოთახიანი ბინა, დიდი დიღმის III მ/რ (13X3) ტელ. 38-08-05

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას II კვარტალში დიდი მიშენებით. რკინის კარით, გისოსებით, ატმორით. საერთო ფართი 100 კვ.მ მიშენების კედლები ამოყვანილია. IV სართულიანის მე-2 სართულზე. ფასი 17000 დოლარი. ტელ. 31-08-42; 93-57-84

იყიდება ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა (18+26) ქალაქის ცენტრში, ბინა იტალიური ტიპისაა. აქვს სარდაფი, ტელეფონი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

პრივატიზებული 3 ოთახიანი ბინას ლოჯიით (სუფთა კუთხის ბინა), 8 სართულიანის მე-7 სართულზე ტელეფონით, სარდაფით დიღმის მასივში, კინოსტუდიასთან ახლოს ვცვლი მხოლოდ საკუთარ სახლზე იზოლირებული ეზოთი, თანხის დამატებით. მშენებარე სახლს ნუ შემომთავაზებთ. ტელ. 51-76-11 დათო

იყიდება ან იცვლება ორსართულიანი ახალი კაპიტალური სახლი ლანჩხუთიდან თბილისის ცენტრალურ რაიონებში, საცხოვრებელი ფართი 220 კვ.მ ეზოიანად 3000 კვ.მ, ავტოფარეხით, ხეხილით. ტელ. ბორჯომში 2-07-32 ინა, დალი

ვყიდი ოროთახნახევრიან ბინას, მეტრო „ისანთან" ქეთევან წამებულის ქ.№67 ბ. №64, საწყისი ფასი 10000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

ვყიდი კიევში სამოთახიან ბინას დარნიცის რაიონში. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა გადაკეთებული ოთახნახევრიანად ვარკეთილში მეტროსთან ახლოს 9 სართულიანის მე-7 სართულზე. ბინა სარემონტოა. ტელეფონით, ბუნებრივი აირით. საწ.ფასი 5000$ ტელ. 73-02-74

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, 8 სართულიანი სახლის 8 სართულზე. ფასი 11000$ ტელ. 61-71-46 ნანა

იყიდება მცხეთის რაიონის სოფ.ქსანში 1000 კვ.მ ხეხილიან ბაღში 2 სართულიანი სახლი. სახლს ორივე მხრიდან აქვს აივნები. შუქი და წყალი მუდმივი; ფასი 8000$ ტელ. 38-71-88 თამილა

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11, მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-25-83

იყიდება ფალიაშვილის ქუჩაზე ორსართულიანი სახლის (მაღალ ბელეტაჟზე) 4 ოთახი, საერთო ფართი 140 კვ.მ გარაჟით, ეზოთი, სარდაფით. ლოჯია 28 კვ.მ საწყისი ფასი 72000$ ტელ. 22-03-68

იყიდება ორსართულიანი გარემონტებული ბინა, 200 კვ.მ ეზოთი მიმდებარე ადგილზე ნაკვეთით, 500 კვ.მ ხეხილით. საწყისი ფასი 14000 დოლარი. მის. სოფ.გლდანი. სტალინის 12, იკითხეთ გია ბურდული

იყიდება არასტანდარტული 4 ოთახიანი სუფთა ბინა გამსახურდიას №24-ში, ჭერის სიმაღლე 3.20, საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. საწყისი ფასი 40000$ ტელ. 38-36-98 ზურა

იყიდება საცხოვრებლად ან ოფისისთვის 3 სართულიანი სახლი წინამძღვრიშვილის 44-ში. ტელ. 95-30-47

იყიდება ვერაზე 2 სართულიან სახლში ბინა მე-2 სართულზე. 2 ოთახიანი, დიდი შუშაბანდით და სათავსოებით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 30000 ლარი. ტელ. 98-45-46

იყიდება ოროთახიანი პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში იტალიური ეზოს პირველ სართულზე, კარგი პირობებით, ტუალეტი, სამზარეულო საკუთარია. მისამართი: გორგასლის 11, ბალნეოლოგიური კურორტის გვერდით. ტელ. 72-47-48 იკითხეთ ზურა ან ვალია

## სხვადასხვა

იყიდება მე-18 საუკუნის ანტიკვარული ავეჯი. დივანი, მრგვალი მაგიდა, ოთხი სკამი. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 93-49-77

ვარ მაღალკვალიფიციური ელექტრიკოსი. ვაკეთებ ყველანაირი სახის ელექტროგაყვანილობებს, ასევე სხვადასხვა მანქანა-დანადგარების მონტაჟს. ტელ. 98-33-59

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს გამოცდილება ბავშვების აღზრდა-მოვლაში. ტელ. 73-02-74

## ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ) ხუთსართულიანი სახლის I სართულზე. ბელეტაჟზე. ავტოფარეხით. ფასი 200$ ტელ. 37-23-78

## ვასწავლი

შევასწავლი ხელით ქარგვას შეღავათიან ფასებში (მაქვს კარგი სქემები). შესაძლებელია სახლში მისვლაც. ტელ. 96-57-46

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სწავლების ვადა ოთხი თვე. ტელ. 98-34-65

## ავტომობილი

იყიდება ავტომანქანა „ჰუნდაი სონატა", 1989 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი 3500 დოლარი. ტელ 38-46-71; 38-15-02

## შევასწავლი

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ტელ. 64-76-77 მაიკო

# რა როდის რომელ არხზე

## ხუთშაბათი, 19 ივნისი

8.30 ალიონი 9.00 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა). 18.00 მოამბე მოცეკვავიდან ქორეოგრაფამდე - ავთანდილ თათარაძე მერიდიანი ჰიგია სპა რამპა 20.00 მოამბე პროფილი ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი 21.20 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა) 22.00 ვესტნიკი ვიდეოპატრული 02 პროგრამა დღე მრავალსახეობა „და ისევ ეთერ ჭყონია" 23.50 ქვიშის საათი

19.00 ინფორმაცია მეორე არხი 19.20 მულტფილმები 19.45 გრაცია- აერობიკა 20.00 ინტერვიუ 20.20 ავტოსპორტი 21.15 ჰოროსკოპი 21.40 შეიდეული 21.10 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი 22.35 რუსული მხატვრული ფილმი „ცხოვრებაც, ცრემლიც და სიყვარულიც" დასასრულს - მუსიკალური გადაცემა.

კავკასია 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი" 11.45 მულტფილმები 12.10 დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება" 13.00 ტელეკომპანია „მირ" 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „საბრძოლო რობოტები" 15.15 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები" 16.30 გასართობი პროგრამა 17.45 საინფორმაციო პროგრამა 18.00 მულტფილმები.

ОРТ 7.00 დილა მშვიდობისა 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 0.45 ნოვოსტი 10.05 „გოგონა, სახელად ბედი" 11.00 დაკარგულის ძიებაში 11.40 მოგზაურთა კლუბი 12.30 საოჯახო ბიბლიოთეკა 12.40 სმაკი 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ორი კაპიტანი" 14.40 აშკარა დაუჯერებელი 15.55 თეატრი+ TV 15.55, 22.40, 1.05 გადაცემათა პროგრამა 16.20 მულტსერიალი 16.45 დღესასწაული ჩვეულებრივ დღეს 17.15 ლეგო-გო! 17.40 „თოვლის კაცი - გარი" 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა 18.35 სამყაროს გარშემო 19.20 „გოგონა, სახელად ბედი" 20.05 ამინდი 20.10 პიკის საათი 20.35 ჯენტლმენ-შოუ 21.05 ჩემი ოჯახი 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ერემია 22.45 მხატვრული ფილმი „ბრძოლა გამარჯვების შემდეგ", II სერია 0.15 მაგია ზებუნებრივი სამყარო 0.55 პრესექსპრესი 1.10 მხატვრული ფილმი „ფისცერი ნოტი".

РТР 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა 1.00 საეკლესიო კალენდარი 10.05 ტელესერიალი „ხენდრო" 10.35 უსასრულო მოგზაურობა 11.10 „სანტა-ბარბარა" 12.15 ადამიანები, ფული, ცხოვრება 13.00 „მეფეები და კომბოსტო", I სერია 14.25 წითელი წიგნი 14.40 რეტრო-შლაგერი 14.55 უძრავი ქონების მაღაზია 15.25 მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში ტრანსლაცია კოსტოვოდან 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები 16.45 საუკუნის ზღურბლზე 17.10 „ბნელი" ალებედისთვის 17.25 ტელესერიალი „ხენდრო" 18.15 ტამ-ტამ ნოვოსტი 18.25 ლუკომორიე 18.50 შეხედე საკუთარ თავს 19.05 რუსები 19.20 რჩეული 20.00 „სანტა-ბარბარა" 21.35 საღამო მშვიდობისა 22.20 მხატვრული ფილმი „შეხვედრა" 23.00 საზაფხულო ფესტივალი „დპ" 0.30 გადაცემათა პროგრამა 0.40 ვინ ვართ ჩვენ 1.20 თქვენი წერილების პასუხად 2.00 ღამის პროგრამა 2.15 პროდუქცია - ფოსტით.

[НТВ] 9.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00, 1.00 სევოდნია 7.15, 8.15, 10.15 სპორტი 7.25, 9.45 კრიმინალი 7.35, 8.35 კარდანის ლილვი 7.40 გრადუსნიკი 7.45, 10.20 ისტორიული დღე 7.50 ზღვარს მიღმა 8.20 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები 8.40, 10.45 მე - პირადი მცველი 8.50 გაზეთების მიმოხილვა 9.10, 10.25 ხარის საათი 9.20 გამოსადეგი 9.35 ფინანსები და ბიზნესი 9.50 ცინცხალი გონებით 10.35 რეტრო-ნოვოსტი 10.50 კინოსიახლეები 11.15 დილა 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი" 12.30 საბავშვო პროგრამა 13.20 გამოსადეგი 13.50 კომპიუტერი 14.00 ღია სამყარო 14.45, 2.00 ტელემაღაზია 15.20 დიდი ერემეჩკო 16.05 „ლავჯოი" 17.20 ფინანსები და ბიზნესი 17.35 დისტანცია-60 18.35 „ცისფერი ხე" 19.30 საბავშვო პროგრამა 20.40 დღის გმირი 21.05 მხატვრული ფილმი „ჰანა და მისი დები" 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად" 0.40 ერემეჩკო 1.20 ღამის ერემეჩკო 2.10 პუბლიცისტურ-მხატვრული სერიალი „ჰიტლერი, ფილმი გერმანიიდან".

TV6 8.00, 10.00, 15.50, 20.55, 22.00, 0.45 ექვსი ახალი ამბავი 8.10, 18.35, 1.15, 2.10 დისკ-არხი 8.40 მულტსერიალი 9.10, 19.20, 1.00 საგზაო პატრული 9.20 ცეპტერის რეცეპტები 9.30 90x60x90 9.45,12.15, 19.10 აფთიაქი 10.10, 14.25, 17.30, 18.55 ტელემაღაზია 10.30 დოკუმენტური სერიალი მსოფლიოს დიადი ფასეულობანი 11.00 რეკორდების ჯინაზე! 11.25 „დინასტია-2" 12.30 ტე-6 ტერიტორია 13.05 „კემბელების ოჯახი" 14.05, 2.00 ხარისხის ნიშანი 14.50 დოკუმენტური სერიალი -„დიდი სამშული" 16.00 მხატვრული ფილმი „დაიმახსოვრე, სადგური ლუგოვაია!" 18.05 18.05 „გაბზარული გულების სკოლა" 19.30 კერძო შემთხვევა 19.50 „კემბელების ოჯახი" 21.05 ტოკ-შოუ 22.15 „დინასტია-2" 23.15 ისინი, ვინც- 23.45 „სარაცინი".

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## შ

შაბაშვილი - 46 (თბილისი - 23; დუშეთი - 17; გარდაბანი - 2);
შაბერუაშვილი - 48 (თბილისი - 29; ბოლნისი - 6; დმანისი - 5);
შავერზაშვილი - 31 (თბილისი - 29; გურჯაანი - 1; წყალტუბო - 1);
შაიანიძე - 23 (თბილისი - 13; თეთრიწყარო - 3; ტყიბული - 2);
შაილაშვილი - 26 (გურჯაანი - 7; გორი - 2; ბათუმი - 1);
შაილუხაშვილი - 32 (თბილისი - 16; გორი - 7; ლაგოდეხი - 2);
შავხელიშვილი - 29 (ახმეტა - 21; გურჯაანი - 1; თბილისი - 7);
შათირაშვილი - 22 (თბილისი - 13; მცხეთა - 2; ახალციხე - 1);
შალელაშვილი - 35 (თბილისი - 10; ახმეტა - 3; მოსკოვის ლტოლვილი - 1);
შალვაძე - 50 (თბილისი - 19; აბაშა - 12; სამტრედია - 5);
შალიკავა - 39 (ოზურგეთი - 22; თბილისი - 6; ბათუმი - 5);
შალიტაური - 37 (თბილისი - 21; კასპი - 16);
შალოლაშვილი - 49 (ახალციხე - 2; ბათუმი - 1; გორი - 1);
შამანიძე - 35 (დედოფლისწყარო - 8; ახალქალაქი - 5; ადიგენი - 5);
შამელაშვილი - 31 (თბილისი - 9; მარტვილი - 4; ბათუმი - 1);
შამრელაშვილი - 24 (ახმეტა - 20; თელავი - 4);
შამყულაშვილი - 20 (თბილისი - 12; ყვარელი - 5; წყალტუბო - 3);
შამხალაშვილი - 33 (მცხეთა - 29; თბილისი - 3; ხონი - 1);
შანთიძე - 31 (ქობულეთი - 16; ბათუმი - 5; გურჯაანი - 4);
შაოშაძე - 23 (ზესტაფონი - 14; თბილისი - 2; საჩხერე - 2);
შარაძენიძე - 42 (ოზურგეთი - 34; თბილისი - 4; რუსთავი - 2);
შარბანაშვილი - 41 (დმანისი - 19; თბილისი - 17; ბოლნისი - 3);
შარიაშვილი - 46 (თბილისი - 19; რუსთავი - 9; გარდაბანი - 4);
შარიმანაშვილი - 32 (გურჯაანი - 27; ახმეტა - 1; თბილისი - 4);
შარმაზანიშვილი - 25 (ახმეტა - 7; თბილისი - 2; თელავი - 1);
შატაკიძე - 29 (თბილისი - 20; კასპი - 7; რუსთავი - 1);
შატაიძე - 24 (თბილისი - 14; კასპი - 10);
შატიკაშვილი - 35 (გორი - 19; თბილისი - 7; თელავი - 6);
შაყულაძე - 33 (თბილისი - 18; კასპი - 13; თელავი - 1);
შაშიკაშვილი - 22 (ბათუმი - 14; ახმეტა - 1; ოზურგეთი - 1);
შაშურაშვილი - 29 (თელავი - 16; თბილისი - 8; მცხეთა - 4);
შახულაშვილი - 45 (თბილისი - 43; მცხეთა - 2);
შავერდოშვილი - 43 (თელავი - 2; ყვარელი - 41);
შეკიშვილი - 29 (ქუთაისი - 14; ქობულეთი - 1; თბილისი - 1);
შელიავა - 28 (თბილისი - 20; ოზურგეთი - 5; ქუთაისი - 3);
შენგელი - 24 (თბილისი - 11; სამტრედია - 10; ჩხოროწყუ - 2);
შენკენაშვილი - 25 (თბილისი - 3; სიღნაღი - 22);
შერეზადაშვილი - 29 (თბილისი - 15; გორი - 10; სამტრედია - 1);
შერეზადიშვილი - 36 (თბილისი - 21; რუსთავი - 6; წყალტუბო - 5);
შერეშაშვილი - 38 (თბილისი - 28; გარდაბანი - 8; გორი - 1);
შეფიაშვილი - 32 (ახმეტა - 9; თბილისი - 1; ყვარელი - 22);
შეღეიაშვილი - 42 (თელავი - 13; თბილისი - 1; ყვარელი - 28);
შვიდბიჯაშვილი - 21 (თბილისი - 8; მცხეთა - 13);
შვილდაძე - 42 (თბილისი - 19; ბათუმი - 5; სიღნაღი - 4);
შიგარდელაშვილი - 20 (თბილისი - 8; თელავი - 12);
შილაძე - 49 (ბათუმი - 22; ქობულეთი - 7; ქედა - 2);
შიმშილაშვილი - 31 (თბილისი - 7; სიღნაღი - 6; ქუთაისი - 18);
შინდაგორიძე - 31 (თბილისი - 31);
შიობრიშვილი - 21 (მცხეთა - 12; რუსთავი - 5; თბილისი - 2);
შორთიშვილი - 31 (ახმეტა - 29; გურჯაანი - 1; თბილისი - 1);
შოშაშვილი - 25 (გორი - 23; თბილისი - 1; რუსთავი - 1);
შოხაძე - 24 (ზუგდიდი - 18; ბაღდათი - 2; თბილისი - 4);
შუბალიძე - 22 (ქობულეთი - 22);
შუკაშვილი - 20 (ზუგდიდი - 4; გორი - 3; ქუთაისი - 3);
შურაძე - 38 (ვანი - 27; თბილისი - 5; ქუთაისი - 3);
შუშაძე - 49 (ბათუმი - 21; ოზურგეთი - 1; ხელვაჩაური - 27).

# უცხოეთის დაზვერვის აგენტი ანუ ვისთვის ძაგება, ვისთვის ქება ლავრენტი ბერიასი

## ბერიას განაჩენი სასამართლომდე უკვე გამოტანილი იყო

2 ივლისს ნაჩქარევად შეიკრიბა სკკპ ცკ-ს პლენუმი. მან გაიმეორა 30-იანი წლების გახმაურებული პოლიტიკური სპექტაკლების სცენარი. დაადგინა: გაირიცხოს პარტიის რიგებიდან ბერია, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი და გადაეცეს სასამართლოს.

მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში ყოფნის პერიოდში, ბერიამ იცოდა, რომ მზადდებოდა პლენუმი, გაცხარებით წერდა წერილებს, მოუწოდებდა თავის ყოფილ თანამებრძოლებს დახმარებისა და შეწყალებისკენ. ბერიას პატიმრობაზე პასუხისმგებელი გენერალი მოსკალენკო თავის მოგონებებში შენიშნავს: „ყველა წერილის შესახებ ჩვენ მოვახსენეთ პრეზიდიუმის წევრებს – მალენკოვს, ხრუშჩოვსა და ბულგანინს. შემდეგ მივიღეთ მითითება, არ მიგვეცა მისთვის არც ქაღალდი და არც კალამი, ერთი სიტყვით, უნდა აგვეკრძალა წერა“.

* * *

1953 წლის 23 დეკემბერს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სხდომამ შეასრულა „პარტიის ნება“ და მიუსაჯა ბერიასა და მის უახლოეს თანამზრახველებს დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით, სამხედრო წოდებისა და ჯილდოების ჩამორთმევით.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №58-59.

საბრალდებო დასკვნაში მის „დანაშაულთა“ შორის მოხსენიებული იყო „აქტიური ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბაქოში 1919 წ. და რომ იგი 1919 წლიდან 1953 წლამდე უცხოური დაზვერვის აგენტი იყო. დასკვნა: ბერია, „წარმოადგენდა ანტისაბჭოური ჯგუფის ორგანიზატორს, ჩაიდინა სახელმწიფოებრივი დანაშაულებანი, გათვალისწინებული შემდეგი მუხლით 58-1 „ბ“, 58-8, 58-13, 58-11 რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით“.

იმავე დღეს, 1953 წლის 23 დეკემბერს, 19 სთ-სა და 50 წთ-ზე, იმავე ბუნკერში, სადაც იმყოფებოდა ადამიანი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მარშლის წოდებას ატარებდა, მინისტრი, გმირი, სკკპ პრეზიდიუმის წევრი, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს პირველი მინისტრი, დახვრიტა გენერალ-პოლკოვნიკმა ბატიცკიმ, რომელმაც შეასრულა ის, რაც ჩვეულებრივად კომენდატის ოცეულს ევალებოდა...

* * *

რა თქმა უნდა, ბერიას სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ იგივე ბრალი უნდა დაედოს მის თანამებრძოლებს – მალენკოვს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ხრუშჩოვს, ბულგანინს, რომ აღარაფერი ვთქვათ სტალინზე, ისევე როგორც თავის დროზე უკვე დახვრეტილ იაგოდას, ეჟოვს, კამენევს, ბუხარინს და სხვა „ბელადებს“. ბერიას დახვრეტამ საერთო-სახალხო მხარდაჭერა ჰპოვა, ხოლო თვით ბერია დიდი ხნით ბოროტების კონცენტრირებულ სიმბოლოდ იქცა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ქვეყანამ შეიგნო, რომ სტალინის გზით სიარული შეუძლებელი იყო, ხოლო ბერია წარმოდგენილი იყო, როგორც სტალინის კურსის მატარებელი მთავარი მანქანა, თუმცა ისტორიის დანიშნულებაა წარსულის მოვლენები უფრო სრულად აჩვენოს, ვიდრე ეს ზედაპირული შეხედულებით ჩანს.

**ალექსანდრე კოროტკოვი**
**ალექსანდრე სტეპანოვი**
**რუდოლფ პიხოია**
თარგმნა **პ.მანჟულაშვილმა**

## ამოღებულია ძებნილის იარაღები

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, 17 ივნისს თბილისში აბასთუმნის ქუჩაზე დაკავებული ძებნილის გოჩა ქოიავას მეუღლის ბინიდან პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, ერთი ხელყუმბარა, პოლიციელ კობა ტაბატაძის პირადობის მოწმობა, ვალტერის ტიპის გაზის პისტოლეტი ერთი მჭიდით და 7 ვაზნით, ტტ-ს სისტემის პისტოლეტის 35 ვაზნა, უფროსი ლეიტენანტის პოლიციელის ფორმა. (იფრინდა)

## «მაშველთა კორპუსის» თავმჯდომარის მოადგილე გირაოთი გაათავისუფლეს

გუშინ სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს გირაოს გადახდის შედეგად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე გაათავისუფლეს „მაშველთა კორპუსის“ თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ჭყონია, რომელსაც ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით საზოგადოებრივი ქონების დატაცება. ბრალდებულის ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჭყონია არაფერში არ არის დამნაშავე და მის წინააღმდეგ საქმე შეთხზულია, იგი მხოლოდ იმის გამო დააკავეს, რომ „მაშველთა კორპუსის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა. საქმის ძიების პროცესში დაშვებულია რიგი პროცესუალური დარღვევები, თუნდაც ის, რომ გამოძიება კანონით დადგენილ 9 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. თავად ჭყონიას თქმით, მას თაღლითობაში დასდეს ბრალი, რაც ვერაფრით დაუმტკიცეს, მიუხედავად ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა. (ბი ჯი აი)

## სამართალდამცველებმა საბაჟო კანონის დარღვევა აღკვეთეს

დედაქალაქის პოლიციის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ოპერატიულმა ჯგუფმა ფონიჭალის საგუშაგოზე შეამოწმა ერევანი-თბილისის სამი სარეისო-სამგზავრო ავტობუსი, რომელთა მგზავრებს თბილისში სარეალიზაციოდ მიჰქონდათ რამდენიმე ტონა მოხარშული ძეხვი, ამერიკული ქათმები. მგზავრების ერთი ნაწილი ქართველები, ნაწილი სომხეთის მოქალაქეები აღმოჩნდნენ.

როგორც ოპერატიული ჯგუფისთვის გახდა ცნობილი, სამივე ავტობუსმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და საბაჟო დათვალიერება სადახლოს გამშვებ პუნქტში გაიარა. საბაჟოს საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორმა ონისე ნიკოლაიშვილმა დეკლარაცია ერთ-ერთი ავტობუსის მძღოლზე გამოწერა და 500 კგ მოხარშული ძეხვისათვის, საბაჟო მოსაკრებელი მხოლოდ 3 ლარი გადაახდევინა. ამერიკული ქათმები, რომლის მოსაკრებელი საერთო ღირებულების 34,7%-ს შეადგენს, საერთოდ არ იყო დაფიქსირებული. მგზავრებისა და მძღოლების ჩვენებით, ნიკოლაიშვილმა არ შეამოწმა ტვირთი და სანაცვლოდ მძღოლისაგან 300 დოლარი აიღო. ამ ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. (მექსპრესი)

# კროსვორდი



თარაზულად: 1. მითიური ფრინველი; 2. ფსიქოლოგიის თანამედროვე ამერიკული მიმდინარეობა; 3. შუა საუკუნეებში ესპანური და პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი; 4. ქართველი მეცნიერი; 5. უფლება რაიმეთი სარგებლობის განსაზღვრული ვადით; 6. ციებ-ცხელება; 7. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში; 8. პოლიტიკური პარტია მე-17-18 საუკუნეების ინგლისში; 9. ვულკანის მოქმედების შედეგად ამოტყორცნილი გამდნარი მასა; 10. ფრანგი განმანათლებელი; 11. გერმანიის დედაქალაქი; 12. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 13. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს რისიმე გარეშე მყოფს; 13. ვიოლინოს ტიპის ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი; 15. აცრა; 16. საერთო წარმოშობის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 17. უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი; 18. შუა საუკუნეების ქართველი მკურნალი „ექიმი“; 19. უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი მოძღვრება; 20. სახელმწიფო აზიაში; 21. მდინარე რუსეთში; 22. ღორების ჯოგი; 23. რისამე შესაფერი დრო; 24. თევზის წვრილი ძვალი; 25. მწვანილი; 26. სხვადასხვაგვარი გაერთიანების, სახელმწიფო ორგანოთა კავშირი ესპანეთსა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში; 27. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 28. ცენტრალური შიდა სივრცე ანტიკური საბერძნეთის ტაძრებში; 29. არქიტექტურული ელემენტი; 30. მოკლეტანიანი პალმა, რომელიც იზრდება კუნძულ მადაგასკარზე; 31. ელინისტური ხანის ქალაქ-სახელმწიფო მცირე აზიაში; 32. გარემოს დაცვის მსოფლიო ასოციაციის ემბლემა; 33. ქმრის ძმა; 34. ძველ რომში – მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი; 35. თვალის ფერადი გარსი; 36. ბოქლომი-საკეტი მოწყობილობა; 37. ინდოელი პოლიტიკური მოღვაწე; 38. მდინარე ინდოეთში; 39. სახალხო კრება უკრაინაში; 40. ფრანგი მხატვარი; 41. დასკვნითი სიტყვა ქადაგებისა და ლოცვებისა; 42. წმინდანის, ღვთაების მხატვრული გამოსახულება; 43. მდინარე იტალიაში; 44. ყვავილი; 45. მუსიკალურ ნაწარმოებს შორის ჩართული მცირე პიესა; 46. უდიდესი პლიაჟი მსოფლიოში.

შვეულად: 1. ქართველი მხატვარი; 2. იტალიელი ფერმწერი; 3. ხარკი ნატურით, რომელსაც უხდიდა ვოლგისპირელი და ციმბირელი ხალხი მეფის რუსეთს; 4. ავსტრალიური ხელიკი; 5. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 6. დანიის პარლამენტის ზედა პალატა; 7. მმართველობის ორგანო წარმოება-დაწესებულებებში; 8. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 9. ინგლისელი მომღერალი; 10. ქალაქი ესპანეთში; 11. ადმინისტრაციული ერთეული მეფის რუსეთში; 12. მათემატიკის ნაწილი; 13. პირველი სტამბის დამაარსებელი თბილისში; 14. ადამიანი, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული; 15. სამხრეთ აფრიკის კავშირის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა; 16. მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა; 17. ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი; 18. ზღაპრული ცხოველი, რომელიც ცეცხლში ცხოვრობს; 19. აზრის გამოთქმა მოკლედ, მკაფიოდ; 20. ხელისგულზე მკითხავი; 21. მცირე ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები; 22. საბუთი, რომელშიც აღწერილია სხდომის, კრების მიმდინარეობა; 23. ხერხემლის შემადგენელი ცალკე ძვალი; 24. ნახევარკუნძული ჩრ. ამერიკაში; 25. საჩხვლეტი იარაღი; 26. წითელი ან ნარინჯისფერი მინერალი; 27. მოლუსკების ტიპის უხერხემლო ცხოველი; 28. სოფელი დას. საქართველოში; 29. ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; 30. ბერძნული ანბანის მესამე ასო; 31. მინერალი, რომელიც იხმარება სასუქად; 32. რწმუნებულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**თამუნა ესაკია**

## ნინა ნომრის პასუხები

მწოლიარედ: 1. ქურუმი; 7. ილარიონი; 11. ლაგამი; 12. ფინალი; 13. მიქელ; 14. ორი; 15. მენახირე; 17. რაიონი; 18. ლეო; 19. თავი; 20. კვერცხი; 25. ბრეგი; 27. სატირა; 29. ტრამვაი; 30. ატა; 31. კასრი; 32. რერო; 33. როინი; 34. ბაიყუში; 35. თბილისი.

მდგომიარედ: 2. უჩინარი; 3. მალამო; 4. სარკე; 5, ბაჭია; 6. გირჩი; 8. ლაქა. 9. როლი; 10. ნარგავი 13. მზე; 15.მიკიტანი; 16. რეისი; 18. ლოტოსი; 21. ერა; 22. ცხეირი; 23. მაყალი; 24. ფიქრი; 25. ბევრი; 26. ევა; 28. თართი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444